ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ

№ 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 23 1896 წ. № 27

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ერც-ღერცოგი კარლოს ლუდვიგი ავსტრიელი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საისტორიო მასალა.— საყურადღებო ამბები.—ჩვენი „ვალტერ-სკოტები“ ზ. ჭიჭინაძისა.—ჟან დარკი ა—სი.—ივანე კოტორაშვილის ამბავი, პოემა ვაჟა-ფშაველასი. —სახუმარო გასართობი მ—ისა.— ნუშო (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—კრიტიკა (დასასრული) ფ. მახარაძისა.—ხალხური ზეპირსიტყვაობის შეკრების გამო ფშაველიშვილისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—განცხადებანი.—

„კავალის“ ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

ერც-ღერცოგი კარლოს ლუდვიგი ავსტრიელი.

ერც-ღერცოგი კარლოს ლუდვიგი ავსტრიელი.

ᲘᲛ დროს, როდესაც ევნგრიის ხალხი და მასთან მთელი ავსტრიის სახელმწიფო ათასი წლის არსებობას დღესასწაულობდა ევნგრიის ერისას, მისმა საიმპერატორო სახლმა დიდი მწუხარება და დასაკლისი გამოცადა. მას მოუკვდა მემკვიდრე ავსტრიის იმპერატორისა ერც-ღერცოგი კარლოს ლუდვიგი, რომელიც დაიბადა 1833 წელს. ავსტრიის იმპერატორის, ფრანც-იოსების შვილი რომ უმემკვიდროთ გადავიდა, მას შემდეგ ძმა იმპერატორისა კარლოს ლუდვიგი გამოცხადებულ იქმნა იმპერატორის მემკვიდრეთ. მან მომეტებული ნაწილი თავის სამსახურისა უცხო ქვეყნებში გაატარა ავსტრიის სახელმწიფოს წარმომადგენლათ. ის ძალიან განათლებული კაცი იყო და ვენის აკადემიის საპატიო წევრათ არჩეული. მას უყვარდა კავალერია და როგორც ავსტრიის კავალერიის მხედართ მთავარმა დიდი გაუმჯობესობა მოახდინა ჯარში. ამ ბოლოს დროს მან განიზრახა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა, იქ გახდა ხაშმიანი ციებით ავათ და რომ დაბრუნდა, მას შემდეგ დიდ ხანს აღარ უცოცხლია; იქიდამ გამოყოლილმა ავათმყოფობამ თან გადიტანა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

როგორც დანიშნული იყო 19 ამ თვეს მოხდა; სათავად-აზნაურო ბანკის არა ჩვეულებრივი, საგანგებო კრება, რომელიც გაგრძელდა 3 დღეს. ეს კრება გამოიწვია იმან, რომ წინა კრებაზე ზედამხედველმა კომიტეტმა და ზოგიერთ მართველობის წევრებმა უარი განაცხადეს თავიანთ თანამდებობაზე.—ამ საგანგებო კრებამ კანონიერათ არ იცნო უკანასკნელი საზოგადო კრება და ხმის უმეტესობით 747 წინაალმდეგ 40-ისა (ოპოზიციას არ მიუღია კენჭის მიცემაში მონაწილეობა) დაარღვია ის კრება და ხელ-ახლათ მოხდა არჩევნები.

ი. მაჩაბელმა არ დაიდგა ყუთი, რადგან იგი თვლის წინა საზოგადო კრებას კანონიერათ. ამორჩეული იყვენ მართველობის წევრათ უ. თ. მ. ა. გრუზინსკი, ქრ. მამაცაშვილი. კანდიდატათ მათთან: ა. ვახვახიშვილი და დ. ჩოლაყაშვილი. დამფასებლებათ: ლ. ჩერქეზიშვილი, ნ. თუმანიშვილი. კანდიდატებათ: ი. ჯორჯაძე და ზ. ერისთავი.

რაც შეეხება ბანკის მართველობის თავმჯდომარეს და მთელ ზედამხედველ კომიტეტს, საზოგადოებამ თხოვა დარჩენილიყვენ. იმათ თუმცა რამჯერმე განაცხადეს უარი, მაგრამ საზოგადოებამ არ შეიწყნარა და იძულებული ჰყო დარჩენილიყვენ.

* * *

ჩვენ ყოველ მხრიდან მოგვდის ცნობები, რომ წელს ქინახულს არსად ხეირი არ ეტყობა: გამუდმებული წვიმებისაგან, და სეტყვისაგან მოსავალი ძლიერ ნაკლებია.

* * *

როგორც „ახალი მიმოხილვა“ გადმოგვცემს, ამბობენ თურმე, რომ არქიმ. ნიკოლოოზის მკვლელი კალმახელიძე მოქმედებდა სხვა პირების წაქეზებით. დანაშაულის ჩადენის წინ კალმახელიძეს გაუტარებია რამდენიმე საათი თფილისში მცხოვრებ შტატ გარეშე-მყოფ მღვდელ პაჩიკოვთან, რომელსაც კალმახელიძისთვის დიდი თავ-დაჭერილობა შეუმჩნევია. მ. პაჩიკოვს არაფერი არ ცოდნია მომავალ დანაშაულობაზე. გამოთხოვების დროს კალმახელიძეს მისთვის უთქვამს: „რამეს გაიგებ დღეს, ორ საათზე“. უკანასკნელ დროს, კალმახელიძე არ იყო გაჭირვებულ მდგომარეობაში: ის ირიცხებოდა პრიჩედნიკათ და მისი ერთათ-ერთი ქალიც სახელმწიფო ხარჯზე იზრდება.

* * *

იმ გაჭირვებული მდგომარეობის გამო, რომელშიაც ჩავარდნილია დღეს უმრავლესობა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა და თბილისის, ბაქოს, ერივანის და განჯის ზოგიერთ მაზრებისა,—სახელდობრ იმ ადგილებში, სადაც დაწესებულია ამ ჟამათ უდიდესი სახელმწიფო გადასახადი, კავკასიის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს ხსენებული გუბერნიების უფროსებს მოთხოვოს ცნობები მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობაზე გარდა ქალაქებისა. ამნაირი ზომით სურთ, რასაკვირველია, დახმარება აღმოუჩინონ სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ სტიქიონურ მოვლენათა გამო.

* * *

გაზ. „კავკაზის“ სიტყვით 21 ივნისს თბილისის მეტეხის ციხეში იმყოფება 325 ტუსაღი; ამათში ვალის-გადაუხდელობისთვის 2, მოხელე 1, პოლიტიკური დამნაშავე 13, აზნაური 13, უბრალო წოდების 296 კაცი. თბილისის ცენტრალურ საავათმყოფოში იმყოფება 54 კაცი.

თბილისის ცენტრალურ სატუსაღოში: დაბალი წოდების 286, საავათმყოფოშიაც 30 კაცი.

* * *

საალებ-მიცემო და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებაში შემდგარა კომისია, რომელში მონაწილეობის მისაღებათ მიწვეულ არიან ხელოსნებიც იმ კითხვის გამოსარკვევათ, რომ სახელოსნოებში დღე და ღამის განმავლობაში მხოლოთ რვა საათს მუშაობდენ.

* * *

„კავკ. სამეურნეო გაზეთის“ სიტყვით ყარაიაზის საცდელ მინდორისათვის დიდი ზარალი მოუტანია ნიაღვრებს და სეტყვას. 29 მაისის წვიმას შემდეგ, ადიდებულ მთის რუებმა ამოამსეს უმთავრესი სარწყავი არხი, საიდანაც ამოხეთქა წყალმა და წალეკა ახლო-მახლო ადგილები რამდენსამე ვერსის მანძილზე; 1—2 ივნისს ხელ-ახლა მოვიდა დიდი წვიმა, რომელსაც მოყვა ხელ-ახლათ წალეკვა უკვე განადგურებული ადგილებისა. ამას მოჰყვა სეტყვა; ასე რომ ხსენებულ ადგილზე დაზარალებულია თითქმის 60 დესეტინამდე მიწა, რომელზედაც გაშენებულია სხვა-და-სხვა ძვირფასი მცენარები, ვენახები სახნავ-სათესი და სათიბი.

*
* *

„კავკასიის სამეურნეო გაზეთი“ გვაუწყებს: ყველა იმ ადგილებში, სადაც აბრეშუმი მოჰყავთ, გაჩნდენ უმი პარკის მყიდველები და ამიტომ მწარმოებელთა და მყიდველებთა შორის დაიწყო სასტიკი ბრძოლა. პირველი შეხედულებით, კაცს ეგონება, რომ მყიდველების გამრავლება პარკს ფასს მოუმატებდა, მაგრამ, სამწუხაროთ, აბრეშუმის მწარმოებელნი კაი ხანია გამოცდილებით დარწმუნებული არიან, რომ ეს მყიდველები მხოლოთ ამცირებენ ფასს. თუ, მაგ., პირველმა მყიდველმა შეაძლია ფუთ პარკში 8 მან., მეორე იძლევა 7 მან. და მესამე კიდევ უკლებს. ამნაირი ხერხით ეს მყიდველები ძლიერ ადვილათ ახწევენ თავიანთ მიზანს—პარკის ფასის დაწევას. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელ ხანამდის ჩვენში არ არსებობდა ადგილობრივი ბაზარი აბრეშუმის პარკების გასასაღებლათ და ამ საქმეს არავითარი ორგანიზაცია არ ჰქონებია. ამიტომ აბრეშუმის მწარმოებელნი—სოფლის ღარიბი ხალხი—და საზოგადოთ მთელი აბრეშუმის თუ პარკების ვაჭრობა რამდენიმე ალებ-მიმცემლების და იმათი აგენტების—მყიდველების ხელში იმყოფებოდა. ცხადია თუ რა ნაირ სამწუხარო გარემოებაში იქნებოდენ ჩაცვინული ამის გამო აბრეშუმის მწარმოებელნი. არ შეიძლება ამიტომ სასიამოვნოთ არ ჩავთვალოთ ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის და აგრეთვე გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავალის“ დაარსება, რომლებმაც თავის უმთავრეს მიზნათ დასახეს ბოლო მოუღონ ამ ნაირ მდგომარეობას. რასაკვირველია, ჯერ ხსენებული ამხანაგობანი სულ ახალი საქმეა, და თვით საზოგადოებამაც ნაკლებათ იცის მათი არსებობა. თავის მხრივ, მეტათ კარგათ მოქცეულა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ბიურო, რომ თფილისში მყოფ საფრანგეთის და ოსმალეთის ელჩებისათვის მიუმართავს თხოვნით, რათა ამ უკანასკნელთ ტელეგრაფით გაეგოთ პარკების ფასი აბრეშუმის წარმოების უმთავრეს ბაზრებზე, ლიონში და ბრუსაში.

სავაჭრო სინდიკატის აბრეშუმის განყოფილების პრეზიდენტი ლიონიდან იწერება ტელეგრამით, ივნისის 14, რომ სევანაში კილოგრამი აბრეშუმის პარკებისა ღირს $2^3/_4$ – 3 ფრანკამდე სხვა ადგილებში 2 ფრან. და 40 სანტიმიდან 2 ფრ. და 60 სანტიმამდე. თუ მივიღებთ, რომ ფრანკი უდრის 36 კაპეიკს და ჩვენებურ ფუთშიაც 16,4 კილოგრამი იმყოფება, იმ შემთხვევაში ფუთი უმი პარკებისა იყიდება საფრანგეთში 15 მან. და 15 კაპეიკიდან 17 მან. 71 კაპ.

საჭიროთ ვთვლით შევნიშნოთ აგრეთვე, რომ პარკების ფასი საფრანგეთში დღითი დღე მატულობს. იმედია ამ ცნობებს სახეში მიიღებენ, როგორც მყიდველნი, ისე გამყიდველნი. წელს ჩვენში, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, აბრეშუმის მოყვანა ერთი ხუთათ მეტია, ვინემ წასულ წელში, რადგანაც მთელ გუბერნიაში 32 ფუთზე მეტი თესლი გასაღებულა; წინეთ კი 5—6-ს ფუთს არ გადაცილებია.

საისტორიო მასალა.

ზეპირ-სიტყვაობის წიგნთ-საცავს აქვს შეძენილი მრავალი ხელნაწერები. ამ ხელნაწერების უმთავრეს ნაწილს შეადგენენ ფრიად საინტერესო და ძვირფასი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ჯერ ჩვენში სრულიად ცნობილი არ არიან. ამ ხელნაწერებში მოიპოვებიან აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი თხზულებანი და ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატები. ჩვენ განვიზრახეთ, დრო და დრო, ბეჭდვა „კვალში“ ამ წიგნთ-საცავის ზოგიერთი ხელნაწერებისა, რომლებიც ასე თუ ისე უფრო საინტერესო ცნობებს შეეხებიან. ერთ ამ გვარ დოკუმენტათ ჩვენ მიგვაჩნია ქვემოთ მიყვანილი ხელნაწერი, რომელიც ეკუთვნის მეფე სოლომონ მეორეს და რომლის დედანი ინახება ზეპირ-სიტყვაობის წიგნთ-საცავში [1]).

ქ. მსასოებელმან ყოვლად წმიდისა სამებისამან ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ ვიგულისმოდგინე დიდითა გულის მოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა. და შეწევნითა ქრისტესითა ვქმენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ სახსოვრად მეფობისა ჩემისა: და აწ დიდსა ერთგულსა და ერთ სულსა ჩემსა სახლთხუცესსა წერეთელსა [2]) დიდსა თავადსა ჩემსა ზურაბს გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემისა ამის სტამბისასა ვითარცა უპირველესსა ნიჭსა პატივისასა. რომელიცა იყოს წესი და შესამატი მეფობისა ჩემისა და საჭირო წმიდათა ეკლესიათა მას იქმოდე. უსწავლელთა ცნობითა და წინაალმდგომთა

---

[1]) ამ ხელნაწერს გბეჭდავთ ჩვენ აქ ყოვლად შეუცვლელათ.

[2]) 1803 წელს, რომელსაც ეკუთვნის ეს ხელნაწერი, მეფე სოლომონ II-ს ჯერ კიდევ არავითარი ეჭვი არ ჰქონებია ზურაბ ქაისოსროსძე წერეთლის ღალატში და თვლიდა მას თავის ერთგულეს ქვეშევრდომათ.

ნებითა და ძალითა განმართეიდე. და ნაკლულევანებასა ყოველსა აღავსებდე სიყვარულისათვის ჩემისა. რამეთუ მიზეზი კეთილისა და არა კეთილისა და ყოვლისა წესიერებისა ქედსა ზედა შენსა დამძს და ყოველი საქმე მისი და განწყობილი სტამბასა გიბოძებთ. ყოვლისა შემძლებელმან ღმერთმან წარგვიმართოს: წელთა ჩყგ: თიბათვის Ü. | ბეჭდის ადგილი | მეფე იმერთა სოლომონ.

საყურადღებო ამბები.

ქ. ნიჟნი-ნოვოგოროდი. როგორც უწყის მკითხველმა, მთელი რუსეთის ყოველ გვარი საქონლის გამოფენა აქ მაისის 28-დან დაიწყო. ყველა მსურველს შეუძლია 30 კაპეიკიანი ბილეთით შევიდეს და დაათვალიეროს ყოველ გვარი რუსეთის ნაწარმოები. რაც შეეხება საზოგადოთ გამოფენის მოწყობილებას, აქ ყველაზე უკეთეს და შვენიერ გეგმაზე გაშენებული და მორთულია ირგვლივ შემორტყმული 32 ფიცრული პავილიონები, რომლებსაც უძახიან „ცენტრალურ რიგს“. ამ ცენტრალურ შენობებში გამოფენილია ყველაზე უფრო მეტათ საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოებნი, მაგალითათ: აქ ყველას ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით შემდეგი საგნები: ა) ლოძიდან მოტანილი სხვა-და-სხვა ფაბრიკების მაშინები. ამ მაშინების ნახვით ყველას ადვილათ შეუძლია გაიცნოს, თუ როგორ იქსოვება სხვა-და-სხვა საქონელი, მაგალითათ ჩითი, მიტკალი, ხამი, შალი, აბრეშუმი, და როგორ იგრიხება თოკები კანაფისაგან. გარდა ამისა საინტერესო სანახავია აგრეთვე მრავალი სხვა-და-სხვა მეხანიკური მანქანები გემებისა, ელექტრონულათ მომართული-მომუშავე აპარატები და სხვ.

ბ) სხვათა შორის საინტერესოა ბუხარის ემირის განყოფილება, სადაც მრავალ გვარი ძვირფასი ხალეულობა და სხვა საქონლით არის მორთული. საზოგადოთ მთელი ეს „ცენტრალური რიგი“ იმითია კარგი, რომ კაცი ერთი მხრიდან, შედის შიგ, გარეშემო უვლის და ყველაფერს სიამოვნებით და ადვილათ შინჯავს. გარდა ამ „ცენტრალიური რიგისა“ უფრო შესანიშნავია შემდეგი შენობები: „სამეურნეო განყოფილებისა“, პედაგოგიური, ციმბირის სამადნეულო ნივთების, და იალბუზის მთიდან მოტანილი ნივთებისა, ჩინელების და იაპონიელების ჩაის გამოფენის შენობა, შენობები სხვა-და-სხვა ფრინველთა და, პირუტყვთათვის და სხვ... ამ კერძო შენობების დათვალიერებას კაცი დიდხანს უნდება და მეტათ უხერხულათაც არის მოწყობილი, ასე რომ ყველას დათვალიერება დაწვრილებით თითქმის მოუხერხებელია კაცისათვის; ერთს რომ დაათვალიერებთ, მეორე აღარ გახსოვთ რომელია და ამის გამო ერთმანეთში გერევათ და დრო ბევრი გეკარგებათ. გამოფენის პედაგოგიურ განყოფილებაში ცოტაოდენი საქართველოდანაც არის სხვა-და სხვა გვარი ნიმუშები, მაგ., ქ. ქუთაისის და ახალ-სენაკის სკოლებიდან არის მოტანილი სახელოსნო განყოფილებათა ნამუშავარი, ჩვენებური გიდელები — კალათები, ფოცხი, გუთანი, ურემი, სკამები, და სხვ... გარდა ამისა აბრეშუმის ჭიის პარკები; საზოგადოთ რუსეთის სხვა-და სხვა ადგილებიდან მოტანილს ნაწარმოებს რომ ჩვენი შევუდაროთ, იმის მეტი რა გვეთქმის: რომ „სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობიაო“. მაგრამ დიდი დანაშაულობაა ყველასათვის, რომ ამის მეტი ვერა მოიპოვეს რა საქართველოდან გამოსაფენათ.

თუმცა დღეს თხუთმეტი დღეა რაც გაიხსნა გამოფენა, მაგრამ ხალხი მაინც ჯერ-ჯერობით ცოტა მოდის, იმასთან შედარებით, რასაც მოელოდენ. ქალაქს და გამოფენას შორის სავალი გზა მეტათ ჯოჯოხეთურია: ქალაქი მაღლობ ადგილზეა გაშენებული და გამოფენა კი შედარებით უფრო დაბლობზე და სწორე ადგილზე, ასე ოთხი თუ ხუთი ვერსის მოშორებით ქალაქიდან. გარდა ამისა მეტათ ძვირია აქ ცხოვრება როგორც სანოვაგეს მხრივ, აგრეთვე სადგომი ოთახები; ჯერ კიდევ ხალხი ცოტაა მოსული და ერთ პატარა ოთახს სამ მანეთ ნაკლებ ვერ იშოვით დღე და ღამეში და აბა, შემდეგში რაღა იქნება?! აქაურ სასტუმროებში კაცს ხომ არ შეესვლება პურის საჭმელათ: თითო კერძი წვნიანი საჭმელი რაც უნდა მოითხოვოთ 1 მ. 25 კაპ., ნაკლებათ არ იყიდება, შემწვარი კი 1 მან. და 60 კაპ. გარდა ამისა აქაური მეეტლები მეტათ უსინიდისოთ ელიჯინებიან და ერთი ხუთათ თხოულობენ; თუმცა ნიხრი ზომიერი აქვთ დანიშნული. აქ ზოგან ელექტრონული კონკებიც არის გაყვანილი.

აქაური ნაქები ყოველ წლიური იარმუკობა თურმე საინტერესო სანახავია სხვა-და-სხვა გასართობებით, მაგრამ ჯერ-კი არ არის გამართული, ამ 15 ივნისისათვის გაიმართება, როგორც ამბობენ.

შაქრო ი. გახნაძე.

*
* *

დუშეთი: ალპანის საზოგადოების ს. ზოგისში

რვა თიბათვეს მოხდა შესაზარი ამბავი: ხვადაგიანებს და ქოხნელიძეებს მოუვიდათ ჩხუბი სადავო მინდორზე; საქმე ასე ყოფილიყო: ქოხნელიძეები ხნავდენ სადავო მინდორს სასიმინდეთ; იქვე ახლო თოხნიდენ მათივე მეგვარეები სიმინდს, ასე რომ ქოხნელიძეები სულ იქნებოდენ რვა კაცამდე. მოსულიყვენ მათთან ხვადაგიანები თოთხმეტ კაცამდე თოხებით და აეტეხათ მათთვის ჩხუბი; ყველა ერთბაშათ დარეულიყვენ თოხებით; გიორგი ხვადაგიანს ისე მაგრა ჰქონდა დარტყმული თავში თოხი, რომ თავის ქალა ჩაჰტეხოდა და ტვინი მოჩანდა; ეს იმავე დღესვე გარდაიცვალა; ამასთანავე მძიმეთ არიან დაჭრილნი ორი ქოხნელიძე და ერთიც ხვადაგიანი. ალპანის მამასახლისმა იმავე დღესვე დილით შეატყობია რაპორტით ეს ამბავი ადგილობრივ ბოქაულს, რომელიც იმყოფება 20 ვერსზე—ცაგერში; ბ. ბოქაული მხოლოთ მეორე დღეს საღამოთი გამოცხადდა; მასთან ერთათ მოვიდენ გამომძიებელი და მაზრის ექიმი.—მეორე არა ნაკლებ სამწუხარო ამბავი მოხდა ამ თვეშივე ს. ლეირიშში. ამ სოფლის მღვდელი თავადი იოანნე ახვლედიანი წისქვილს აკეთებინებდა ლეირიშის ღელეში, რომლის აქეთ-იქით ამართულია ვეებერთელა კლდეები. კლდიდან გადმოვარდნილიყო ქვა და მღვდელს ისე მოხვედროდა თავში, რომ იქვე უსულოთ დაცემულიყო. მამა ახვლედიანი ყოფილა ცოლ-შვილიანი, შუა ხნის კაცი.

ლეჩხუმში ხშირი წვიმებია ახლა, რაც მეტათ ხელს უშლის საფილოქსერო დასის მუშაობას. რაქის საფილოქსერო დასის ლეჩხუმის განყოფილება აგერ ერთი თვეა აქ არის და ჯერ წვიმების გამო სამი-ოთხი დღის მეტი მუშაობა არა ჰქონია. ლეჩხუმში ფილოქსერა ჯერ თუმცა არ არის მოდებული (მარტო ს. დერჩში აღმოაჩინეს 1891 წელს და 1895 წელსაც ს. დღნორისში), მაგრამ სამაგიეროთ ობი მძვინვარებს საშინლათ. შარშან ძალიან დიდი ზარალი მოუტანია ობს ლეჩხუმელებისათვის. ამავე წელში თითო-ოროლა მევენახეს კიდეც უწამლია შაბიამნით და წელს კი უფრო მომეტებული წამლობს. გლეხები აუარებელი მოდიან საფილოქსერო დასის წარმომადგენლებთან დ რჩევა-დარიგებას თხოულობენ მათგან; ამასთანავე ხელ-მოკლენი უსასყიდლოთ სარგებლობენ დასის მანქანებითაც. ასე იქნება თუ ისე ლეჩხუმელები დღეს-ხვალ გამოაბრუნებენ თავიანთ ვენახებს ობისაგან, მაგრამ, საუბედუროთ, მალე მათ ვენახს ელის მეორე უფრო საშინელი სენი—ფილოქსერა. ფილოქსერა ისე ადვილი მოსასპობი არ არის, როგორც ობი. თქვენ მტერს—რაც მაშინ ლეჩხუმლებს დღე დაადგეთ. ლეჩხუმლების უმთავრესს წყაროს ცხოვრებისას შეადგენს მევენახეობა და როდესაც ეს მოისპობა, რაღა მოგველის მაშინ?.. მეფუტკრეობა სრულებით არ არის აქ გავრცელებული, აბრეშუმის მოყვანა ხომ სულ არაა, თუმცა თუთის ხე ძალიან ბევრია. როგორც მიამბეს ლეჩხუმში, აბრეშუმის მოყვანას ხელს უშლის ხალხის უცნაური ცრუმორწმუნეობა: თუ აბრეშუმის ჭია მოიყვანა ვინმემ ჩვენში, წმიდა გიორგი გაწყრება და კოხს (სეტყვას) გამოგზავნისო. თუ შეამჩნია ლეჩხუმელმა ვისმეს, რომ აბრეშუმის ჭია მოუყვანია, მიუცვივიან და ჩააქვავებენ. საზოგადოთ ლეჩხუმზე ითქმის, რომ იგი ერთ ჩამორჩენილ კუთხეთაგანია იმერეთში. მართალია, თოთხმეტსავე სოფლის საზოგადოებაში (?) (ლეჩხუმის მაზრა თოთხმეტი საზოგადოებიდან შედგება) არსებობს სამინისტრო შკოლა, მაგრამ მათ მეტათ ნაკლები სარგებლობა მოაქვთ ხალხისათვის, უგზოობის გამო (მაგ. ალპანის საზოგადოება შეადგენს ხუთს სოფელს, რომელიც ს. აჭარიდან, სადაც სკოლაა, ხუთი და რვა ვერსის მანძილზე იმყოფება). ხალხის სიღარიბე აქ გამოწვეულია სხვათა მიზეზთა შორის უმეტესათ მამულის სივიწროის გამო [1]) და კიდევ გლეხების მჭიდრო ეკონომიურათ დამოკიდებულებისაგან თავადებთან. თავი აქვს აქ დახსნილი დაახლოვებით მესამედს, დანარჩენები მეოთხედს შემოსავლისას აძლევენ თავადებს.

დროებით ლეჩხუმელი.

* *
*

დ. ხონი. მკითხველებმა უკვე იციან, რომ საზოგადოთ ქვემო—იმერეთში ბეჯითათ ეკიდებიან აბრეშუმის კეთებას, და კიდევაც საკმარისათ განვითარდა აქ ეს საქმე.

სულ პატარა ოჯახსაც ვერ ნახავს კაცი აქ, რომ აბრეშუმის კეთებას არ მისდევდეს.

წლევანდელი თესლი სწორეთ საუცხოვო გამოდგა, მაგრამ ძალიან შეგვაწუხა (ბჟოლის) თუთის სიძვირემ ასე, რომ 1 მანეთზე მეტს აძლევენ თითო ძირში, და მაინც ველარ შოულობენ.

მოვიდა პარკის ყიდვის დროც, და კიდეც ესტუმრენ ჩვენ ხონს „უცხოელნი“ პარკის მყიდველები. გირვანქა „პარკში“ იძლევიან—18—20 კ., რაც მარტო გამოკვების ფასსაც ვერ ასწორებს, და შრომა კიდე სხვა არის. თუ რაიმე საშუალება აღმოაჩინა „მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ“ თორემ, თქვე-

---

1) აქ შეძლებულ გლეხათ ითვლება ის, ვისაც ქცევა (900 ოთხ-კუთხი საჟ.) ან ქცევა ნახევარი ვენახი აქვს და ამდენივე სახნავი.

ნი მტერია, უმოწყალოთ ჩაიგდებენ ხელში ბეჩავი ხალხის ამდენ ნაღვაწ-ნაშრომს.

გასიკო გუბელი.

* * *

ქუთაისი: სასულიერო სემინარიის დაარსებამ, ამ ორი წლის წინათ დიდი სიხარული გამოიწვია აქ; ამასთან ბევრი მითქმა-მოთქმა, პარტიობა და აურზაური ატყდა მასზე, თუ ქალაქის რომელ მხარეზე აშენებულიყო სემინარიისათვის შენობა. ქალაქმა ორი-სამი ადგილი დაუსახელა, უფასოთ დაუთმობთო, მაგრამ არც ყ-დ სამღვდელო განსვენებული გაბრიელი დათანხმდა ამაზე, და არც სამღვდელოების დეპუტატთა კრება. სემინარიის შენობისათვის აირჩიეს არქიერის მთაზე ბაგრატის ტაძართან მდებარე ადგილი, დიახ ღირსეული ყოვლის მხრით. ამ საგანზე საქმე უკვე წარდგენილია უწმინდეს სინოდში დასამტკიცებლათ. ეს ორი წელიწადია, რაც სემინარია მოთავსებულია ნაქირავებ სახლში იმავე არქიერის მთაზე. მოგეხსენებათ, რომ სემინარიას თითო კლასი ყოველს წელს ემატება, ვიდრე ექვსი კლასი შესრულდებოდეს. ამიტომ წინანდელ შენობის სივიწროის გამო საჭირო იყო სხვა შენობის დაქირავება. სემინარია ლამბაშიძის სახლში იყო მოთავსებული; ამავე სახლის გვერდით დგას ორი სახლი ძმათა მოვაჭრე ბუკუჩავათა. ამათ წინა-დადება მისცა მ. რექტორმა, რომ მიექირავებინათ სემინარიისთვის ეს სახლები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ზრდილობიანათ მოექცენ მ. რექტორს დარბაისელი ვაჭრები! დღეს დაპირდენ, ხვალ უარი უთხრეს; დღეს შვიდას მანეთათ დაუფასეს, ხვალ რვაასათ. მერე ერთმა უთხრა: მე ვერ მოგაქირავებო, მეორემ— ახლა რუსეთში მივდივარ საქონლის მოსატანათ, ჩამოვალ და მაშინ მოგახსენებ პასუხსაო! მ. რექტორმა უცადა კიდევ ორი თვე. ჩამობრძანდა ბუკუჩავაც, და დათანხმდა როგორც იყო ხუთას მანეთათ, მაგრამ რა გამოვიდა? ხან უთხრა: ეზოს ველარ მოგცემო, ხან სარდაფსაო, და სხვ... ერთი სიტყვით: „უნახავმა რა ნახაო", რომ იტყვიან სწორეთ ამ ვაჭარ ბუკუჩავაზე ითქმის. ამას შემდეგ მ. რექტორმა დაიქირავა სილაზე სახლი სამი წლის ვადით, რადგან გორაზე ამას გარდა სემინარიისათვის გამოსადეგი სახლები არ იშოვებოდა. ასე ამ გვარათ სემინარია ჩამოვიდა გორადან და ვინ იცის ამოვა ისევ გორაზე თუ არა.

—ლი.

* * *

სოფ. წირქვალი (შორაპნის მაზრა). ყოველ დღე წვიმს; საწყალ ხალხს ჯერ მუშაობა უჭირს წვიმების გამო და მერე რასაც მუშაობს, ისიც წყალს მიაქვს. წარმოიდგინეთ, რომ მაისი ისე გავიდა, რომ ჯერ თესვა არ გათავებულიყო; ვენახების საქმე ხომ წასულია. 28 მაისს დაიწყო კოკის პირული წვიმა. წირქვალის წყალი (პატარა მდინარეა), რომელიც ერთვის მდინარე ყვირილას დაბა ჭიათურის მახლობლათ, ძლიერ ადიდდა. ადიდებულმა წყალმა წაიღო 28 წისქვილი და ბევრი ზარალი მისცა ხალხს. ამ დროს სოფელ წირქვალში ერთი უბედურობაც მოხდა. ორი დედაკაცი ნინო ბერძნის და კესარია მიროტაძისა თავის ნათესავებიდან სახლში მოდიოდენ; უეცრათ მოვარდნილმა ნიაღვარმა მოასწრო ამ უბედურებს გზაში და წაიღო. ერთი მათგანი დაარჩო წყალმა, მეორე კი ცოცხალ-მკვდარი გამოათრიეს წყლიდან.

პავლე ნადირაძე

* * *

ქ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ პატივ-ცემული თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი ანგარიში იმ წარმოდგენისა („ხანუმა" ა. ცაგარლისა) და სალამოსი, რომელიც 5-ს მაისს იყო გამართული სენაკის სააზნაურო სკოლაში ამავე სკოლის სასარგებლოთ. ბილეთების და ვახშმის ფასი ერთათ შემოვიდა 171 მანეთი და 27 კაპეიკი. სხვა და-სხვა ხარჯების გამორიცხვას შემდეგ დარჩა 66 მანეთი და 38 კაპ. ამას გარდა წარმოდგენის გამო ზოგიერთი ქველმომქმედი საპატიო პირები უწყებულ იყვენ წერილებით და მათგან ჯერ-ჯერობით შემდეგი შესაწევარია მიღებული:

1) გენერალის კონსტანტინე ქ. მამაცაშვილიგან 5 მან.
2) თავადის ივანე გ. მაჩაბლისაგან 3 მან.
3) ექიმი კონსტანტინე მ. ჩიქოვანისაგან 5 მ.
4) ექიმი ივლიანე ხოფერიასაგან 3 მან.
5) ზუგდიდის ნატარიუსის ბ. სოლომონ ჯიქიასაგან 5 მან., სულ 87 მან. და 38 კაპ.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი შემდეგ პირთ, რომელთაც ამ საქველმოქმედო საქმეში მონაწილეობა მიიღეს: არტისტ—ქალს ნატალია მერაბის ასულს ცაგარლისას და არტისტ ბ. ვასილ აბაშიძეს, სცენის მოყვარეთ: ა. ჩიქოვანის ასულს, ა. ქავთარაძის ასულს, ე. აგლაძისას, კონ. ხოფერიას, ვლად. ელიავას, ბენედ. მომფორიას, ნესტ. გაბუნიას, კნეინა მარიამ აბაშიძის ასულს დადიანისას და ანასტასია კანდელაკის ასულს გუგუშვილისას, რომელთაც ბილეთები დაჰყიდეს.

სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი
ს. გ. ყიფიანი.

ჩვენი „ვალტერ-სკოტები“.

ჩვენ ისტორიკოს ვალტერ-სკოტებს ერთი სენი ჰირდათ. ამას აქვე მოგახსენებთ.

იგინი ბრძანებდენ და აწც ბრძანებენ ხოლმე შემდეგს: საქართველო ძრიელი სამეფო იყო, ქართველი ხალხი უმაღლესი გმირობით შემოსილი, დაწინაურებული, გაფოლადებული, მდიდარი ეკკლესიის მაშენებლებით, ბერებით, მღვდლებით, თავადაზნაურობით, ხლმით, ხანჯლით, მწიგნობრობით და სხვებრ, რომლებსაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვთვლით.

სწორეთ ამავე დროს, ზემო სტრიქონებს ქვემოთ რომ ჩახვალთ, უცბათ თქვენ იქ წაიკითხავთ შემდეგს.

საქართველო უბედური იყო, უძლური, მკედარი, სამარეში მდებარე, მას უწყალოთ იკლებდენ ოსმალნი, სპარსნი, ესენი ანგრევდენ ყველაფერს, ხალხს იტაცებდენ და ტყვეთ რეკავდენ ოსმალ-სპარსეთში. ოსმალ-სპარსელებს გარდა საქართველოს ანიავებდენ თვით წუნკალა ლეკებიც, ოსები, ქისტები და ზოგი ერთი მთის ერნიც კი. ლეკები ასი კაცით დაეცემოდენ საქართველოს ᲯᲐ აკლებასა ᲯᲐ აოხრებას გარდა სამეფო ქალაქსაც იმორჩილებდენ და სხ. მერე მოაყოლებენ: მაგრამ ძალითა ღვთისათა, ჩვენ დაგვიფარა დროთა და ჟამთა ცვლილებამ, ქვეყნის წეს-წყობილების ცვლილებათა საქმეებმა. ჩვენ დაგვიფარა მეცხრამეტე საუკუნემ, სული ჩაგვიდგა, სიცოცხლე გვაჩუქა, სინათლით შეგვმოსა, დიდებით, სახელოვნებით, ფულით, მწიგნობრობით, ჩვენ აღორძინდით, წინ წაედით ღვთის განგების მეოხებით. ნამეტურ მადლიან და ეტრფიალებიან მეცხრამეტე საუკუნის მოელენას და მისგან აღმართულს და ქართველთა წინაშე წარმოშობილს მოქალაქობის ასპარეზს.

ეს ძალიან კარგი და პატიოსანი.

მათი მქუხარე ბრგვილი ენა და წმინდა გული, ერთ დროს ქართველ ერის შესახებ ერთ ამბავსაც მოგვითხრობს, მეორესაც და მესამესაც. საზრი და მოძღვრება მათი ყოველთვის კამკამებენ. მაგრამ ყველა ეს ამბები და აწონ-დაწონვა კი ისე ეჯახება და ეწინაღმდეგება ერთი მეორეს, როგორც ზეთი და ღვინო კაცმა ერთმანერთში აურიოს. ამიტომ ხშირათ მკითხველი ასეთ წერილების წაკითხვის დროს განცვიფრებას ეძლევა და აღარ იცის, რომლისა რა დაიჯეროს, რა ირწმუნოს, რა გზასა და მიმართულებას დაადგეს!

ასეთ გზასა და კვალს ადგენ მრავალნი მეისტორიენი ქართველთა, ამ მახინჯს გზასა და მიმართულებას ვერ აცდენ თვით ისეთი მეისტორიე პირებიც, რომელთა პატივის - მცემელთ შორის მეც ვითვლები. ამათ დაიწყეს ლაპარაკი ჩვენ ძველ მონობაზე, ჩვენ უძლურებაზე, და ჩვენც ასე გვაუწყეს, ასე დაგვარწმუნეს. ახლა ყველას უფლება აქვს, რომ ჩვენ მონათ ყოფილ ხალხათ ჩაგვთვალოს. ჩვენ ამას ვერავის დაუშლით, რადგანაც ჩვენ მეისტორიეთა შაქარ-ლამა ენა მოგვითხრობს, რომ ქართველები ძლიერნი ვიყავით, ქართველნი განათლებულნი, მაგრამ იგივე ძრიელნი იმავე დროს მონები ვიყავით ᲯᲐ ოსმალ-სპარსებს გარდა ლეკებიც კი გვიკლებდენ!

სწორეთ ამ გვარი და ამ ყალიბის წერილი დაიბეჭდა ამას წინეთ „ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ“. წერილი ეკუთვნის ბატ. გრიგოლ ყიფშიძეს, რომელიც „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“-ში კარგა ხანს შრომობდა. ისტორიკოს ბიბლიოფილ-ბიბლიოგრაფმა გრ. ყიფშიძემ უცბათ გამახსენა ჩვენი მეისტორიე ვალტერ-სკოტები და ამიტომ აქ არ შეიძლება რომ ამ ახალ „ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ და ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗ“ საესე ვალტერ სკოტის ახალ მოძღვრების შესახებ არა ვთქვა-რა.

ყოველ დროს ცხოვრებენ სხვა-და-სხვა მოღვაწე პირები, შემდეგ ესენი იხოცებიან; გადის დროᲯᲐ ამ პირთა ამბავთა და საქმეთა აღმწერნი ჩნდებიან, იწყებენ აღწერას, მაგრამ როგორ?—ისე კი არა, როგორც ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ მოითხოვს, — არა. ესენი საგნათ აღებულ გვამის ამბებს სულ სხვანაირათ აღწერენ, სულ წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, როგორც მათ სურთ და ენატრებათ, როგორც იგინი დაინახვენ საჭიროთ და თავიანთ თავისთვის გამოსაყენებლათ. ასეთ მელა-ძუობას და ოსტატობას ჩვენი „ვალტერ სკოტები“ მიტომ ადგნენ და აწცა ადგანან, რომ მათ უაღრესათ რწმამ ბრძოლა არსებობისთვის, ანუ „ᲙᲣᲯᲘᲡ ᲛᲠᲬᲐᲛᲘᲡ“.

„ᲙᲣᲯᲘᲡ ᲛᲠᲬᲐᲛᲘᲡ“ შესახებ ხშირათ თვით ბატ. გრ. ყიფშიძესაც უსაუბრია ხოლმე „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“-ში, როცა ის თავის წერილებს გოდორიას აწერდა, სხვა ინიციალებიც ჰქონდა. ჩვენ ერთმანერთს კარგათ ვიცნობთ. ვიცით ისიც, თუ წამ-და-უწუმ ვინ თამაშობდა ლეკურ-ბუქნას, აზროვნებიდან ხტუნვას. მე კარგათ ვიცი, ვინ დემოკრატობდა უკიდურესათ, ვინ ნიგილისტობდა, ვინ ღალავდა ყბასა და ენას ყოველ პირად უფლების დაფარვასა და შემოფარგელაზე, ვინ ეძებდა და ელტეოდა ცხარეთ ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ ისტორიაში, ამბავთა სინამდვილეს, ბოკლისა და დრეპერის ისტორიის წერის წესის აღდგენას ქართულ ისტორიაში.

მე მაშინ ძველ ქართულ წიგნებს ვაგროვებდი და ვკითხულობდი. ერთ დღეს მე და განსვენებული

დიმიტრი ბაქრაძე ძველ პერგამენტზე ნაწერ სახარებას ეშინჯავდით. ეს იყო 1879 წ. ამ დროს ჩვენთან შემოვიდა გრ. ყიფშიძე და რა დაინახა ძველი წიგნები და მათი შინჯვა, უცბათ მე გამიხმო და მითხრა:

—,,აი, დალპი, დალპი მაგ ძველ წიგნებში, მაგაზე იქით ღმერთმა არ წაგიყვანოთ, იკითხეთ ეკენი და ენახოთ ქვეყანას რით უშველით''. ახალ აზროვნების მეგობარ გრ. ყიფშიძესაგან ეს არ გამიკვირდა, რადგანაც კარგათ ვიცნობდი მას. იგი მეტათ ეტრფოდა კონტს, კანტის ,,წმინდა გონების კრიტიკას'', ხშირათ იცოდა ხსენება მათი და თანაც ატარებდა სპენსერს, ფოხტს, ლასალს, მარკსის ,,კაპიტალს'' ჯ სხვებს.

რამდენსამე ხანს შემდეგ გრ. ყიფშიძემ ზემო ხსენებულ გზასა და ლტოლვილებას თავი დაანება და დაადგა სხვა გზასა და კილოს. მან იწამა ჩვენი ისტორია, ჩვენი ვითარება და ერი. აშის შესახებ პეტერბურგიდან წერილიც მოიწერა; ეს წერილი ,,იმედში'' დაიბეჭდა. ამ წერილით მან უარ-ჰყო თავისებური კოსმოპოლიტობა, სხვა გზას დაადგა. მალე ისე შეიცვალა, რომ მარკსის ,,კაპიტალის'' პირველი ტომი ძველ წიგნებში გაცვალა.

გავიდა დრო, შეიცვალა გარემოება და დღეს ბატ. ყიფშიძე კიდევ სხვა კაცათ, სხვა მიმართულების მღაღადებლათ აღმოჩნდა. პირზე ახალი ნიღაბი ჩამოუფარებია. დღეს სხვა აზროვნებისთვის დაუკრავს თავი. დღეს ეს ემორჩილება იმ ისტორიულ მეთოდს, რომელსაც ის წინათ ყალთაბანდობას უწოდებდა და რომელსაც იგი ადრე უარს ჰყოფდა. რომ ეს ასეა, ამას დიდი გაკვრა არ უნდა, რადგანაც აზრები კარგათ ღაღადებენ დამწერის ახალს გარდაქმნას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მე წინადადებას მიცემ მას, როგორც ისტორიკოს ბიბლიოფილ-ბიბლიოგრაფს, რომ ზოგიერთი რამ კითხვები, რომლებიც მან აღძრა უკანასკნელი წერილით, აგვიხსნას და განვიმარტოს ისე, როგორც ჭეშმარიტება და ისტორიული სინამდვილე თხოულობს, მაგალითებრ:

1) აწეროს დაწერილებით 1852 წ. თბილისში ,,ცისკრის'' დაარსების ამბავი, აგვიხსნას სინამდვილით, თუ მაშინ ვინ ეხმარებოდა ამ ჟურნალს. ამის გამოსაცემათ ვინ შეადგინა პროგრამა, ვინ იმეცადინა ნებართვის აღებაზე, ვინ მისცა მას დახმარება.

2) რა მიზეზი იყო, რომ 1853 წ. ე. ი. მეორე წელიწადს დაიხურა სიფრაფანა ,,ცისკარი''; ახსნას ამის ყოველივე მიზეზები სინამდვილით.

3) მიზეზები ქართული თეატრის დახურვისა. ვისი დახმარებით ადგენდა წარმოდგენებს 1855 წლებში ივ. კერესელიძე, თეატრის ქირაში რათ დაედვა ვალი ივ. კერესელიძეს, ამას სათეატრო ნივთები რათ გაუყიდეს, ვალების გამო ჯამაგირი რათ შეუკრეს. ვინ იყვენ ყველა ამის მოქმედნი.

4) 1856 წ. ვინ მოისაზრა ,,ცისკრის'' განახლების სურვილი. ვინ შეადგინა წესდება, თხოვნა ვინ მისცა მთავრობას, ვისის დახმარებით გამოიცა ,,ცისკარი'', ვის სახლში იყო რედაქცია. ვისი ცდით, ვისი დახმარებით და შრომით გამოდიოდა ,,ცისკრის'' ნომრები, ვისი მეოხებით ეახელდით თვალს და ვიდგამდით სულს.

თუ ყველა ამ კითხვებს ბატ. გრ. ყიფშიძე სინამდვილით აღწერს, ყოველს თავის მოსაზრებას ჭეშმარიტი ისტორიული საბუთებით დაგვიმტკიცებს ჩვენ მაშინ შეგვიძლია, რომ მისი მოსაზრება ვირწმუნოთ; თუ არა და ისე აღწერას როგორც იგი წერს, ლიტონის სიტყვით, ჩვენ ვერაფერ მნიშვნელობას ვერ მივცემთ, ვერაფერს დაუჯერებთ. ყოველ შემთხვევაში კი უმჯობესი იქნება, რომ კაცმა ტყუილების წერას თავი დაანებოს.

ზ. ჭიჭინაძე.

ᲣᲐᲜ ᲓᲐᲠᲙᲘ.

ᲑᲐᲨᲣᲐᲚᲝ საუკუნოები საესეა ისეთი საოცარი მოვლენებით, რომლის მსგავს ჩვენ ძველსა ჯ თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან იშვიათათ შეხვდებით. ეს დრო მეტათ ბნელ ხანას წარმოგვიდგენს ევროპის გონებრივი განვითარების ისტორიისას. ნამდვილ მეცნიერებას ჯერ გზა არ გაეკელია და ადამიანის აზრი უნაყოფო სხოლასტურ ფორმულებში ტრიალებდა. ფილოსოფია არეული იყო ღვთის მეტყველებაში, თუმცა მაშინდელი კლერიკალური შეხედულებით იგი, მხოლოთ მსახური იყო თეოლოგიისა. ბუნების მეტყველების მეცნიერების მხოლოთ ნასახი ეტყობოდა და მაშინდელი ალხიმია მიუწდომელ და უაზრო კითხვების გამოცნობას ეპოტინებოდა. ასეთი კითხვები იყო „ფილოსოფური ქვის“ ძებნა, რომლის შემწეობით იმედი ჰქონდათ ოქროს ხელოვნურათ გაკეთება. „სიცოცხლის ელექსირის“ ძებნა, რომელსაც უნდა მიენიჭებინა ადამიანისთვის საუკუნო სიჭაბუკე და სხვა. ძველი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მდაბიო ხალხი, რა საშინელი უმეცარი უნდა ყოფილიყო იგი, თუ საუკეთესო მისი ნაწილი, გონების მხრივ, ასე დაბლა იდგა აი, ეს უმეცრება ჰქონდა ნიადაგათ იმ საოცარ პსი-

ჟან დარკი მსაჯულთა წინაშე.

ხო-პატოლოგიურ მოვლენებს, რომელნიც შემდეგ ეპიდემიასავით მოედებოდა ხოლმე მთელ ხალხს. ჩვენი დროის მეცნიერება ცდილობს ამგვარ მოვლენების მიზეზთა გამოცნობას, თუმცა ჭეშმარიტი ახსნა ამ საიდუმლოებისა ჯერაც ხელთ არა გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ ვთქვათ, რომ თითქმის ყოველთვის ამგვარი მოვლენა თუ ერთი მხრივ აიხსნება მომქმედი პირის პსიხოლოგიური ორგანიზაციით, სამაგიეროთ მას უსათუოთ გარს არტყია ისეთი საზოგადოებრივი პირობები, რომელთან კავშირის უარ-ყოფა შეუძლებელია. ჟან დარკის მოვლენა, მისი მოქმედება და გავლენა ერთ იმგვარ ძნელათ ასახსნელ კითხვებს ეკუთვნის ხალხის ფსიხოლოგიისას, რომელზედაც ახლა გვქონდა ლაპარაკი. თუ აქამომდე ეს გმირი ქალი ისე იქცევდა ყურადღებას, როგორც ისტორიული პირი, დღეს პირ-იქით ეს მხარე მისი მოქმედებისა სრულიად ჩრდილშია დატოვებული და მისი პირადობა უფრო ფსიხოლოგიური მხრით გადაქცეულა კვლევის საგნათ.

საფრანგეთის ისტორიაში ეს ის ხანაა, როდესაც იქ ინგლისელები გაბატონდენ. 1422 წ. გადაიცვალა კარლოს VI. საფრანგეთის რეგენტათ იყო ჰერცოგი ბედფორდისა. ეს უკანასკნელი მეტათ მაგარი ხასიათის კაცი იყო და ყოველი ღონით ცდილობდა თავის ცხრა თვის ძმისწულისთვის, რომელიც შემდეგში უნდა გამეფებულიყო. სახელმწიფო ტახტის მემკვიდრეობა ძხოლოთ მამათა შტოს შეეძლო სალიური კანონის ძალით. აქ კი საქმე ისე მოხდა, რომ ახალი მემკვიდრე მხოლოთ დედით იყო ფრანგი, მამით კი ინგლისელი. ჰერცოგი ბედფორდისა იმდენათ ძლიერი იყო, რომ ნახევარი საფრანგეთი მიიმხრო, თვით პარისმაც კი ინგლისელების მხარი დაიჭირა. მთელი საფრანგეთი ორ ბანაკათ გაიყო. კარლოს VII-ის უმთავრესი ძალა სამხრეთ საფრანგეთში იყო, მაშინ როდესაც ინგლისს უფრო ჩრდილო საფრანგეთი მიემხრო. მაშინდელ დროში მიღებული იყო ჯარის დაქირავება და კარლოს VII-ს ბევრი შოტლანდიელი ჯარი ჰყავდა დაქირავებული. ბედფორდის ჰერცოგმა გაანთავისუფლა შოტლანდიის კაროლი იაკობი, რომელიც 18 წელიწადი ინგლისელებს ტყვეთ ჰყავდათ და ამით უნდოდა კარლოსისთვის ჩამოეშორებინა შოტლანდიელები. მაგრამ ხერხი გაუცრუვდა.

მხედველობაში რომ მივიღოთ და შეეადაროთ როგორც მოპირდაპირეები, ისე მათი ძალა, უნდა ვთქვათ, რომ გამარჯვებას ბედი ინგლისელებს უქადდა. მაგრამ ბრძოლაში ჩაერია ისეთი ძალა, რომელსაც ბევრჯერ უძლეია უფრო ძლიერი მტერი. ეს იყო ნაციონალური გრძნობა საფრანგეთისა, რომელიც აღელდა უცხო ტომის ბატონობის წინააღმდეგ და კიდეც გაიმარჯვა. კარლოს VII უხასიათო, სუსტი და ქეიფში გართული კაცი იყო; იგი უფრთხოდა შრომას და სამეფო საქმეებს განაგებდენ მისი პირფერა სასახლის კაცნი. მას არ უყვარდა ომი და ხალხიც ამ მხრივ მისი მადლობელი იყო. ხალხს უყვარდა იგი, როგორც კანონიერი მემკვიდრე ტახტისა და თუმცა თვით კარლოსი ბევრს არა ცდილობდა, მაგრამ ნაციონალურმა იდეიამ და გრძნობამ თვით უხასიათო კარლოსიც კი გაიტაცეს და გაიტანეს. კარლოს VII-ის სიკვდილს შემდეგ ომი მეტათ გამწვავდა. ინგლისელები ყოველგან გამარჯვებულნი რჩებოდენ. თვით ბედფორდის ჰერცოგმა რამდენჯერმე დაამარცხა შოტლანდია—საფრანგეთის შეერთებული ჯარი. ბევრი საუკეთესო მეომარი და რაინდი მოაკლდა კარლოს VII-ის ჯარს, და საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით „ბურჟის კოროლი", როგორც დაცინვით უწოდებდენ კარლოს VII, ჰერცოგმა კინაღამ არ განდევნა მისი რეზიდენციიდან. მხოლოთ გლოსტერის, ჰერცოგის და ფილიპე ბურგონიელის შორის მომხდარმა უსიამოვნობამ ხელი შეუშალა კარლოსის სრულ დამარცხებას.

სამხრეთ საფრანგეთის დაჭერა შეუძლებელი იყო, თუ ინგლისელები ჯერ ორლეანის ქალაქს არ აიღებდენ. ინგლისელების სამხედრო პლანიც ასეთი იყო. ამ ქალაქის აღება მეტათ ძნელი იყო, რადგან მის დამცველთ გადაწყვეტილი ჰქონდათ უკანასკნელ ღონისძიებამდე ბრძოლა, და სურსათიც ბლომათ ჰქონდათ დამზადებული. ჰერცოგი ბედფორდისა ყოყმობდა, მაგრამ სამხედრო რჩევამ გადაწყვიტა ქალაქის აღება და საუკეთესო სარდალს მიანდო ამ საქმის შესრულება. ინგლისის და ბურგონიის ჯარმა დაიჭირა მთელე საჰერცოგო ორლეანისა და ალყა შემოარტყა ორლეანს, რომელიც ლუარის მდინარეს ნაპირზე იდვა. 24 ოქტომბერს 1428 წ. ინგლისელებმა დიდი გაჭირვებით აიღეს ორი კოშკი, რომელიც ხიდის ყურში იდგა და ხიდს იფარავდა. ფრანგებმა დაიწვეს, მაგრამ შუა მდინარეზე ისე გამაგრდენ, რომ ხიდზე მტერს არ შეეძლო გავლა. ინგლისელები გარს შემოერტყენ ქალაქს და ცდილობდენ სურსათი მოესპოთ. ქალაქში ჩაკეტილების მდგომარეობა მეტათ დამძიმდა გაზაფხულზე, როდესაც სურსათისათვის შეტაკებაში (1429 წ.) შოტლანდია-საფრანგეთის ჯარი უკუ აქციეს ინგლისელებმა. ორლეანელები შეწუხდენ, ქალაქში გაჩნდა ავათმყოფობა, ჯარი შემცირდა, შიმშილობა იწყებოდა, ხალხი სულით დაეცა. მთელი მომხრეები კარლოს VII-ისა სასოწარკვეთილებას მიეცენ. თვითონ კარლოსმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და ხან შოტლანდიაში და

ხან ისპანიაში ფიქრობდა გაქცევას. მაგრამ სწორეთ ამ დროს, იმ წამს, როდესაც პატრიოტული პარტია სულით დაეცა, გაჩნდა ,,ორლეანის ქალწული", ის ქალი, რომელმაც დაიხსნა არა თუ მარტო ორლეანი, მთელი საფრანგეთი და რომლის მოვლენა დღესაც საინტერესოა და ზოგიერთი მხრივ გამოუცნობი. ეს იყო ჟან დარკი.

ა.

(შემდეგი იქნება)

ივანე კოტორაშვილის ამბავი

(ქართვლის ნაამბობი).

I.

გული აღარ ძგერს ძველებრივ,
აღარც რო ჩქამობს ნაღარა
აღარ ღირს ჩალის ფასათა
ჩემი სიტყვა და ჴაღარა.
მეტყვიან: ყრილობაშია
რატომ დავდივარ აღარა;
რისთვის წავიდე, უმისოთაც
გული ნაღველმა დაღარა;
მე გარეთ რაღა გამიყვანს
ძველის ამბების მნახველსა;
ვინღა დაეძებს ამ დროში
კაცობას, ანუ სახელსა;—
კახი ჩვენ გვეუცხოვება,
ჩვენც ვეუცხოვეთ კახელსა.
ახლანდელების ყრილობას
რაღა ყრილობა ჰქვიანო:
ვინ იცის, რას გადასცემენ,
ვინ იცის, რას ჩადიანო;
ლანძღვა-გინების ,,ალავერდს"
ურთ-ერთთან გადადიანო.
ვითომ იმასა ფიქრობდენ,
უფრო რა არგებს სოფელსა,—
ან ემხრობოდენ სიტყვასა
მათთვის კეთილის მყოფელსა?!
არა. თუ კბილ-მოსაჭიდი
გაუჩნდა ერთსა სხვასთანა,
მირბიან თავ-გადაგლეჯით
სუდია-ნაჩალნიკთანა.
ჩივიან, ფიქრათ ისა აქვთ
ერთმა მეორე გათელოს
და ამით კაი ბიჭობა
ვითომ ,,თავის მტერს" აჩვენოს.
დიახ ,,მტერს"—ქათმის მომკვლელსა,
ან ერთი კვერცხის გამტეხსა,—
თუ ნება მიეც უროთი
თავში ჩაურჭობს სატეხსა.
აი, ეს თქვენი დროება,
აი, ეს თქვენი ნამუსი.
ჩემი დრო ახლანდელთანა
სადარათ არის აფსუსი.
ერთა ქალაი გავზარდე
მის მეტი არც-რა მყოლია,
ისიც მე როდი მიგონებს,
ეშმაკმა აიყოლია.
მე კაცსა ვრთავდი კაცის ფერს,
ის კი სხვამ დაიყოლია—
ერთმა ვიღაცა უტვინომ,
ჯიში არ აქვს და გვარია.
იმის ქცევამა უფროაც
ჭკვა-გონებიდან ამრია.
მე იმას ვეღარ ვიშვილებ,
ახლა ის ჩემთვის მკვდარია.
ის სახლში როგორ მივიღო,
როგორ გაუღო კარია!
წავიდეს, იუდის კერძი,
წყალმავე ზიდოს წყალია.
ეჰ, მორჩა ძველი დროება,
უკეთურებამ დალია.
სად გაქრა ასე უცბათა
მისი გზა, მისი კვალია?!
ცხოვრებამ ფერი იცვალა
დაბრუნდა ცოდვა ბრალია.
სად გაგონილა ძველ დროში
ასეთი ყოფა-ქცევაო,
დედ-მამის დაუკითხავათ
კაცისად გადასვლაო
ქალისა. მეტი-ღა გინდა
ჭკვა-გონის გადარევაო.
ძველათ ერთ-ურთი გვიყვარდა
დანდობაც იყო მეტია;
ახლა ხალხს ღმერთი გაუწყრა
თავზე დაესხა რეტია:
თუნდა იაზმა ასხურე,
თუნდა დაარტყი კეტია;
იმისთვის ორივე ესა,
თუ დაიჯერებ—ერთია.
კაცს ახლანდელს დროს ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუმეტია.
გულის და გონების კარი

ურდულით დაუკეტია
და კაცათ იმასა თვლიან
ვისც ფული მოუხვეტია.
ჩემ დროს სად იყო ამდენი
ფული და იმის ჩხრიალი,
მაგრამ პურ-ღვინოს, გეშველოს,
ყელში ჩაჰქონდა ხრიალი.
ზოგი სიბერით კვდებოდა
და არ ენახა ტიალი
ფული, — ეგ თქვენი ხატ-ღმერთი,
ეგ თქვენი წყლულის მალამო.
სად გაჰქრი, ძველო დროებავ,
ძველო ძმობავ და სალამო?!
ძველ დროში თოფი და ხმალი,
გული—კლდე გაუტეხელი,
და ერთმანეთთან საველათ
წყალს ხიდი ჩაუტეხელი.—
აი, იმ დროის ელ-ფერი,
მისი მადლი და დიდება.
ახლა რას ეხედავთ მის ნაცვლათ,
ან გული რისგან მიკვდება?
გულში ჩამკვდარა სილაღე,
მის ნაცვლათ ჯაერი დიდდება.
— ეგ მართალია, ბიძიავ,
მაგრამ ამბობენ იმასა,
რომ ძველ დროს თუმცა ფულითა
არა ჭედავდით ქისასა.
ბარაქას ვერვინ ასწყავდა
ბარისასა და მთისასა.
ვერ უდიოდა ქვეყანა
მოწყალებასა ღვთისასა,
თან რომ იტყვიან სიმცირეს
წინანდელ კაცთა ჭკვისასა;
თურმე ცულს ქვისას ხმაროობდენ
და საკვეთელსა ხისასა,
ხარს მიათრევდენ დანასთან
და არა ხართან იმასა.
— დღეს სადღა ნახავ, რას ამბობ,
იმ ჩემის დროის რკინასა?
სუყველამ ფერი იცვალა,
სუყველა იშლის ბინასა.
სად ჰპოვებ ახლა ძველებურ
მჭედელსა, ხმლისა მკვერავსა,
ან ტყვია, ხმალის შეუვალს
ლურჯის ბექთარის მკერავსა.
დღევანდელს ჩირთი ფურთებსა
დაარქვით ჭკვა და გონება.
თუ ჭკვამ იმატა მაშ ხალხის
გული რიღასთვის ღონდება.
მის გული ძველათ ამაყი
თან-თან რისთვის მონდება?
შორს რად მივდივართ: აგერა
ძველი ბეღელი, ნგრეული;
წაიღე ბარი, წერაქვი,
და გაუსინჯე სხეული.
კაცი იქნები და ცოტას
ააფხენი კირით ნაგებსა
ბევრს სხვას გიამბობ, თუ მისმენ,
ძველთა გმირობის ამბებსა.
— თუ მაგრე კარგნი იყავით
და მტკიცე გქონდათ პირია,
რისთვის დაღუპეთ ქვეყანა,—
გამოუთხარეთ ძირია?
— დავსუსტდით, მტერთა სიმრავლემ
გატეხა ჩვენი მხნეობა
და, როგორც ჰხედავ, მოწამლა
ქართველთა კეთილ—დღეობა.
ღმერთმა ერეკლე აცხონოს
ბევრი გადაჰხდა ომები,
ღმერთმა ისინიც აცხონოს
ვინც იმას ახლდა ლომები;—
არ იყო ქართველთ სამტეროთ
ადვილათ შასალომები!
როცა ომს გავათავებდით,
დაისვენებდა ლაშქარი,
მოვიდის შუა ჩაგვიჯდის
როგორც ძმა, როგორც ამქარი
გვითხრის: „ფშაველებო, მასმინეთ
ის თქვენებური მღერანი.
გვერდით უდგია თავისი
შავარდენივით მერანი.
გულს რამდენს უკლავს ალალ კაცს
წუთი-სოფელი ვერანი!
როგორ გაცუდდა საწყლისა
ფიქრი და გულის ძგერანი.
ჩვენც დავიწყოდით ღრეობა
მწკრივათ დავსხდოდით ყველანი.
მტრის ლეშს კი ამ დროს წიწკნიდენ
სვავნი, ორბნი და ძერანი.

II.

ერთი გვერია ჯარშია
სწორეთ ქარ-ცეცხლი, მეხია,
რამდენჯერ მარტო მტრის ჯართან
მას ომი აუტეხია,
მაგრამ ვიდ ეშმაკს უფალი
ის ვერვის გაუტეხია.

არა დროს იმას გმირობა
არსად არ დაუკვეხია.
როცა საფიხვნოთ *) დავსხდოდით,
ვსთქოდით, რაც გადგვხედია:
ვის სად რამდენი მოგვეკლა
თათარი, ანუ ლეკია;
კოტორაშვილსა ივანეს
თავიც არ მოუქექია,
,,შენც რამა თქვიო'', უთხროდით,
პირი რას მოგიკუმია?!
ყურს არ იბერტყდის, მდუმარებს,
ვით ძროხის ხორცი უმია.
იჯდის ქუდ-ჩამოფხატული
დინჯათ ჩიბუხსა ჰსუტავდის.
და ხშირს წარბებს ქვეშ თვალები
ცეცხლის ალივით ჰბჟუტავდის,
შავ-გვრემანაი ნისლს ჰგვანდის
გაბუტვილს, ხევში მძინარეს,
ან კლდისგან შევიწროებულს
აღელვებულსა მდინარეს.
ვერა ნახავდი ივანეს
მხიარულსა და მცინარეს.
თმა-წვერი ესხა ისეთი,
როგორც ეკალი, ჯაგარი,
ხელს მოჰკიდებდი უდრეკი,
როგორცა რკინა, მაგარი.
მუდამ იცვამდა თხის ტყავსა
გარექცევ, ბეწვი ჩნდებოდა.
ხმალს სქელი თასმით იბამდა,
რაც კი წელთ შამოსწვდებოდა
ხანჯალი წვერ შემოხრილი,
ფარი ილლიას ჰხვდებოდა.
ეს იყო მისი ქონება
სრული შინა და გარეთა.
ღარიბი იყო ივანე,
დედა ემდურის მწარეთა.
ან სად ეცალა სახლისთვის,
სულ ტყე-ტყის პირეთ ძვრებოდა,
სადაც მტერს დაიგულებდა,
მყისვე თავს დაევლებოდა.
ის დრო ხომ იცი კაცს მარტოს
გარეთ არ გაევლებოდა.
დიახ... ის ტყავი... ივანე
ღმერთმა აცხონოს სულითა,
განათლებულო, ცოცხლობდი
მართლა ვაჟკაცის რჯულითა.
გვიყვარდა. შავეხუმროდით,
უწოვდით ტყავსა კალთაზე
ან გავთხიფოდით ლაფითა,
მაგრამ არ გაწყრის ამაზე.
ძლივ მაშინ გამაიცვალის,
ძლივ მაშინ გავაცინოდით
როცა მუგუზლით ვდაღავდით,
ან ლაფში ჩავაწვინოდით.
,,აპიშვით, თქვენი ჭირიმე''
გვეხვეწებოდა ძირითა.
შინა ძლივ ვათქმევინოდით
სიტყვა საამო პირითა.
არას დასდევდა ტანთ-ჩაცმას
არც რო სახელსა ჰყვარობდა.
როცა ლეკებსა ჟუჟავდა,
მარტო მაშინა ხარობდა.
მეფისგან ჰქონდა ნაძლევნევი
ივანეს სამი ხალათი,
მაგრამ ივანეს ბეჭებმა
არა იცოდა ამათი,
შინ ეწყვენ, იმჭვარტლებოდენ,
საცა ეკიდა კალათი.
ერთხელ ერეკლეს უნდოდა
ჩაეცმევინა ძალათი;
ივანეც თავის მეფესთან
იყო თამამი, ხალბათი.
— რატომ არ იცვამ, ივანე,
თქვა მეფემ, გახდა კამათი.
— მე რა ხალათის ღირსი ვარ,
დღე მუდამ ვძრები ჯაგებში,
შენი ჭირიმე მეფეო,
შინ მილაგია ბარგებში.
ვინახავ გვლის თვალივით
თვალ-გულის საამურია.
გავცვითო, რამლა მაგონოს
ხელმწიფის სამსახურია.
ერეკლემ ვაჟკაცის სიტყვას
დინჯათ დაუგდო ყურია.
და გაიღიმა, გაუგო,
სადაც ივანე ლონობდა,
ან თავის გასამართლებლათ
რომ მარჯვე სიტყვას გონობდა.
აღარა უთხრა, გაბრუნდა,
წავიდა თავის ქნევითა,
თავის კარავში მიბძანდა
პატარა კახი ქვეითა.

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

*) საფიხნოთ—სასაუბროთ.

სახუმარო გასართობი

(გ ო დ ე ბ ი).

ვა რისხვით თავზე დამეცა,
დამაგდეს ასე მწარეთა!..
რა შემიძლია, რაღა ვქნა,
მე სალაროსა გარეთა?!.
რაც რამა გვქონდა ერთობით,
ყველამაც მოეიხმარეთა,
ვერც შფოთით, ვერცა ხრიკებით
ვერაფრით მოუგვარეთა.
რა მრჯოდა, რისთვის ავყევი,
ჩემს ამქრის ერთგულ მოლასა!..
ზოგს ციმბირისკენ ემუქრის,
ზოგს რეოლვერის სროლასა.
ვინ იცის, რა შედეგი აქვს
ქალების გულის თრთოლასა!..
ვაი ამ..... კ...ს ყოლასა
და ვაი უყოლობასა.
თუმცა მამაცათ ვიბრძოლე,
მაგრამ დამიგეს მახეა,
იმ გოლიათმა საბუთი,
მთლათ თავზე გადამახია!..
თითო სიტყვები გადმომკრა
გული გამიპო, ახია,
რისთვის ჩავარდი მახეში,
ძმებო, ეს ჩემზე ახია.
მოდი შენ ენდე კიკოლიკს?
ადგა და განზე გავიდა,
ყველას კი ცილი დასწამა,
ვინც რომ დარბაზში შევიდა,
მეც ზოგს რა უთხარ, ზოგსა რა,
მაგრამ ჩემი არ გავიდა!..
მართალს იტყვიან, მუდმივათ
კაცს ბედი არა რჩებაო.
მაშინ ნამეტურ როდესაც
თავის გზა ეკარგებაო!..
ესე ანდაზა ყველასა,
ეგონებ რომ ეუწყებაო!..
ვინც სხვებსა უთხრის ორმოსა,
თითონვე ჩავარდებაო.

მ...ი.

ნ უ შ ი.

(მოთხრობა *)

XVI.

ობის მარხვა მიწურულიყო, ბედნიერი დღეები მოახლოებულიყვენ. წინათ ნუშომ დიდი მზადება იცოდა ამ დროს, მთელი სახლი ფეხზე იდგა: გვა, წმენდა, რეცხვა, ხარშვა, ბაზრიდან ბოხჩა-ბოხჩაზე და ჭურჭელი-ჭურჭელზე მოდიოდა ნავაჭრით; რა შვენიერი ტანისამოსი, რა ახალი ავეჯი, რა სანოვაგე, რა ტკბილეულობა! ახლა კი სახლი დაღონებული იყო, სიცოცხლე მოჰკლებოდა, გოგო ფეხ-აკრეფით დადიოდა, ბიჭს დრო ეპოვა და ნახევარზე სხვაგან ეგდო. არც თავის დროს სმა, არც თავის დროს ჭამა. ახალგაზდა ქვრივი მიყუჟულიყო ოთახის ფანჯარაში, ფერი ხან მოუდიოდა ხან მიუდიოდა, ცრემლებს აურქვეედა; ბევრი ტირილისაგან ქუთუთოები დაჯიჯვებოდა და ლამაზ თვალებს შნო დაჰკარგოდათ.

— წერილებზედაც პასუხს არ იძლევა!.. ის არ იყო მუხლ-მოდრეკით მეევდრებოდა, კალთებს მიკოცნიდა? ახლა კი აგერ ორი კვირაა არ გაუწაწანია; რაც გაიგო ჩემი უბედურება, ფეხი აღარ მოუდგამს.. თითქო თითონ არ იყოს დამნაშავე... ცოლათ წამამყვე, მეუღლობა გამიწია, ჯვარი დავიწეროთო. დავენდე. ჩაქოლილო ჩემო თავო!.. ახლა რაღა მეშველება? იმის რჩევით სახლი გავყიდე, იმის იმედით ფულს არ უფრთხილდებოდი: აქ არა ვარ ვაქკაცი, რას ყაირათობო? ახლა კი თავი დამანება.. წამართო პატიოსნება და მიღალატა... ვაქკაცია?! ღმერთიეით ეეხვეწებოდი არ მომატყუო, არ დამღუპო-მეთქი... მოთქვამდა ქალი და ჩამოდიოდა მდულარება.

სეედით გატაცებულს ვერ შეენიშნა, რომ თავზე მარქრიტა წამოდგომოდა. მაჭანკალი კარგათ იცნობდა რეზიკოს. ახლაც რეზიკოს მოეგზავნა ეს დედაკაცი. რეზიკო გამოცდილი იყო ამისთანებში, ბევრი ოინი ჩაედინა და იცოდა, როგორ მოეელო საქმისთვის, რომ თავს რამე უსიამოვნო შემთხვევა არ დატეხოდა.

— ყველაფერს ავიცდენ თავიდან. პირველია თუ?! მე, მე ჩამაბან მაგისთანა უბრალო საქმეში?! მაშ კნიაზ რეზიკო არა ვეოფილვარ და ის არის! ისე მოგიწყვიტო თავიდან, ჩემო შვენიერო, რომ ბუზიც ვერ აუფრინო შენს რეზიკოს, ეუბნებოდა თავის

*) ის. „კვალი“ № 26.

გულში მოტყუებულ ქვრივს, როცა იმის წერილს კითხულობდა. ერთი დავიბარო მაქრიტა!

— დილა მშვიდობისა, ქა! რათა სტირი აგრემც გენაცვლება მარქრიტა? რათ ისიებ შვენიერ თვალებს? ბედნიერი დღეა მომავალი, მოიწმინდე ცრემლები, კერას ნუ შეაჩვევ ნამეტნავ მწუხარებას.

ნუშო მოეგო გონებას.

— დაბძანდი. სატირელი მაქვს, ჩემო მარქრიტა და ვტირი; თავი მაქვს მოსაკლავი...

— რათა, შვილო? ქმარი ვის არ მოჰკდომია, მაგრამ თან კი არავინ ჩაჰყოლია. საწყალი ჩემი კაცი! ისე ვუყვარდი ცხონებულს, თვალში ჩავვარნოდი ხელს არ მოისვამდა. რამდენი მწარე დღე გამოვიარე იმის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თავი კი არ მოვიკალი. აგერ სხვა შვენიერი ვაჟკაცი შემოგტრფის.

— ნუ ამბობ, ნუ მიხსენებ იმ ავაზაკის სახელს! დამღუპა... ახლა განზე გადგა, წერილებზედაც კი პასუხს არ მაძლევს..., ველარ შეიმაგრა ქალმა თავი.

— უი, დამიდგა თვალი! იქნება?.. რატომ არ დამეკითხე? ვაჟკაცს რახან ნებას მისცემ, როგორ-ღა შეიძლება მერე იმისი საყდარში შეტყუება.

ქალმა ტირილი ამოუშო. თვალ-ცრემლიანი გამოუტყდა ყველაფერში. მარქრიტა ჯერ ისე უცხოობდა ამას, თითქო არაფერი იცოდა და პირველათ ესმოდა ეს. მერმე დაფიქრდა და ბევრი ყოყმანის შემდეგ დაუსახელა ერთი დედაკაცი, რომელსაც შეეძლო კიდეც გაეთავისუფლებინა ქალი დ̃ საიდუმლოც შეენახა;—ამ ხელობას ადგასო, უდხრა.

— გასამრჯელოს კი ნუ დაიშურებ, ქაჯან! ხომ იცი, ჯერ თითონ მორჩენას უნდა ხარჯი; ესეც რომ არ იყოს საფათერაკე საქმეა და თუ სასყიდელს არ დავახარბებთ, ხელს როდი მოჰკიდებს.

ნუშო დათანხმდა ყველაფერზე. მეტი რა ღონე ჰქონდა! ექიმ დედაკაცმა თითქმის გაძარცვა ქალი, თუმცა ისე მარჯვეთ`კი ვერ უშველა, როგორც იმედს იძლეოდა: ფეხმძიმე განთავისუფლდა, მაგრამ ძალიან ავათ შეიქნა. რომ დაატყო საქმე ცუდათ არისო, დედაკაცი კვალ-წმინდათ დაიკარგა. მოიყვანეს ექიმი. ეწყინა, როცა ნახა რა ურჯულოთ მოჰყრობოდენ ქალს. სასწაულით გადარჩენილხარ სიკვდილსაო—უთხრა. უნდოდა ამ უდიერების მომქმედი სამართალში მიეცა, მაგრამ ავათმყოფმა ნება არ მისცა, არც იმისი ვინაობა აცნობა: ეშინოდა უფრო არ გაქვეყნიერებულიყო ამბავი. დახელოვნებულმა მკურნალმა მთლათ მოარჩინა ავათმყოფი. დიდი ხარჯი კი მოუვიდა ნუშოს; თუ რამ საფასური შერჩენოდა გაჰყიდა, დედისეული სახლიც დაუგირავა სომეხს. ძალიან ხელ-მოკლეთ შეიქნა.

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. განათებულ სასახლის ქუჩაზე ხალხი ბუზივით ირეოდა, მეტადრე თითონ სასახლის წინ. სასხლის გადასწვრივ კი, საჯარო წიგნთ-საცავის და ქალების გიმნაზიის წინ თითქმის ბნელოდა. აქ ხალხი არ იყო, ათასში ერთი მგზავრი თუ გაივლიდა. ამ ადგილას ბოლთასა სცემდა თითქმის ხანში შესული კაცი. ევროპულათ ეცვა. გძელი ქალარა შერთული წვერი შუაში გაეპო, ნიკაპი გამოეჩინა; ულვაშების ბოლო ძირს დაშვებოდა; წარბები თვალებზე ჩამოფხატოდა. მარჯვენა სალოკ-თითზე ფირუზის დიდი ბეჭედი უჩანდა. ლიპი გადმოეგდო. კარგა ხანი იყო რაც ეს ზერდაგი კაცი აქ დადიოდა. თანდათან მოუთმენლობა ეტყობოდა. ხშირ-ხშირათ იღებდა უბიდან ოქროს საათს. ბოლოს მუზეუმის მხრიდან გამოჩნდა შავებ-ჩაცმული მანდილოსანი. მოკლე წამოსასხამზე ფუნჯებიანი პტყელი არშია ჰქონდა მოვლებული. ქალი ქევ-ქევით მოდიოდა და ყველა ნაბიჯის გადადგმაზე ფუნჯები ირხეოდენ. მარჯვენა ხელში მაღალ-ტარიანი შავი ქოლგა ეჭირა, მარცხენა მკლავზე აბრეშუმის შალი გადაეგდო. ქალი რომ ქუჩაზე გამოჩნდა, კაცმა ის იყო იბრუნა პირი წიგნთ-საცავისაკენ, მაგრამ სწრაფათ შემოტრიალდა, თითქო იგრძნო საყვარლის მოახლოვება.

— სახლის პატრონის ცოლი შემოვიდა და იმაზე დავიგვიანე; ვინ იცის რამდენი მელოდე.

— მთელი ღამე რომ მომდომოდა ლოდინი, მაინც ფეხს არ მოვიცვლიდი აქედან,—მიუგო კაცმა და მოუჭირა ხელზე ბანჯგვლიანი ტლანქი ხელი და დაიძახა:

— ეტლი!

მაშინვე გამოქანდა ეტლი; წამოახურვინა, ჩასვა, უბძანა მუშტაიდში წასულიყო, მტკვრის-პირის ქუჩაზე გაევლო. ეტლი რომ მუშტაიდის ბაღს უვლიდა გარს ხეივნებზე, ნუშო ჭინ-მოსულ ვაჟკაცის მძლავრ მკლავებში თრთოდა, როგორც გველ-შემოხვეული ჩიტი. კაცმა გამოყო თავი დახურული ეტლიდან და უბძანა „აფრა“-ში წასულიყო.

„აფრა“ სასტუმროს ერქვა. მუშტაიდიდან რკინის გზის სადგომისკენ რომ ქუჩა მიდის, იმ ქუჩაზე იყო ეს სასტუმრო. ოთახები სუფთათ ჰქონდათ შენახული. ყოველთვის დიდი სიჩუმე სუფევდა აქ. არც დღიურათ, არც ხანგრძლივი მცხოვრები მუშტარი არა ჩანდა აქ; დერეფანში რომ შავი ფიცარი ეკიდა, ერთი-ორი გვარის მეტს ვერას დროს ვერ ამოიკითხავდით იმაზე. რასაც მოითხოვდით,—სასმელს თუ საჭმელს,—მაშინვე გააჩენდენ. ღამე კი იღვიძებდა ეს სასტუმრო; მაშინ ხშირათ ჩერდებოდენ იმის კარებზე წამოხურული ეტლები, რომლებიდანაც გად-

მოდიოდენ სამრუშოთ გამოპარულები და ფეხ-აკრეფით, ფრთხილათ არბოდენ კიბეზე. ეს ხალხი დაქირაველებულ ოთახში სულ საათი საათ-ნახევარი რჩებოდა, ათასფერ რასმე თხოულობდა, არ ჩინჩობდა, ფულს აბნევდა. ზოგიერთ ოთახებიდან ბანქოს მოთამაშეების ხმა გამოისმოდა. მსახურები დერეფანში არ ირეოდენ, მარტო სასტუმროს პატრონი იღებდა ყველას, ზარის პირველსავე დაწკარუნებაზე კი გაჩნდებოდა ბიჭი, მარდათ აასრულებდა ბძანებას და ისევ გაქრებოდა. სასტუმროს მეორე კარი ჰქონდა სხვა ქუჩისკენ.

ნუშოს შალი წამოეფარებია, თვალები-ღა უჩანდა. აირბინეს კიბეზე. კაცმა ამოიღო ჯიბიდან გასაღები და გაიღო ოთახი. დახვდა გაშლილი სუბუქი ვახშამი. ქალმა მოიხსნა შალი. ღაღანა სახემ ოთახს ნათელი მოჰფინა. ეაქკაცმა მარჯვეთ გადაატრიალა გასაღები და ციმციმ აიტაცა ქალი იატაკიდან.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა დახურული ეტლი ანჩხატისკენ ჩასავლელ ეიწროო ქუჩასთან გაჩერდა. კაცმა გადმოსვა ნუშო ეტლიდან. ჩაიარეს ეიწროო ქუჩა, შეუხვიეს მარცხნივ, გავიდენ ძველ ალაყაფის კარებში, რომელსაც მუხრანიანთ ხიდზე გაჰყავს, გაიარეს ხიდი და გამოჩნდა ქალის სადგომი. აქ გამოემშვიდობენ ერთმანეთს.

ნუშო ფრთხილობდა, რომ არავის გაეგო იმისი ამბები, ეტლს იმისთვის აჩერებდა მოშორებით. ერთხელ რომ შეცდა, იმ შეცდომას იმეორებდა. თაექვეს დადგომოდა, წუმპისკენ მისრიალებდა. უზრუნველ ცხოვრებას იყო შეჩვეული, ფლანგვა უყვარდა, ხელიდან კი არაფერი გამოუვიდოდა; იმის ხელობა ძილი, კეკლუცობა და ხარჯვა იყო. სანდომიანობა დაენათლებია ბუნებას და ახლა ამ ნიჭს ხარჯავდა, მაინც კი იმედს არა ჰკარგავდა, რომ დაიპერდა საქმროთ ერთ იმ ეაქკაცთაგანს, რომლებიც ახლა ეტორღიალებოდენ იმას: არ იცოდა კაცები რა მალე იმწვანილებენ კეკლუცებს, თუ კი იხილეს ხილი.

ქალი ფლანგავდა თავის თავს, დახლი კი არა ჰქონდა. ქარის შემოტანილი ქარსვე გაჰქონდა. ავათმყოფობაზე რომ ვალი დაედო, ის ხომ ეეღარ მოიშორა და ახლა კიდეე უმატებდა. სახლის ქირას ეეღარ იხდიდა. ეს გარემოება და თანაც ქვრივის საეჭვო ქცევა იყო მიზეზი, რომ სახლის პატრონმა ჯერ გვერდზე დაუწყო ცქერა, მერე აკრძალობია დაეცალა სახლი. ეს ამბავი რომ აცნობა ქვრივმა თავის ახალ კაცს, იმან სიტყვა ბანზე აუგდო: ჩავარდა გაჭირებაში. მეტი ღონე აღარ იყო თავის საკუთარ ქოხისთვის უნდა მიემართა.

ზაფხულის დილა იყო, სოფლულიანთ ეკას ხელში სურა ეჭირა და კვეის ღლაჭუნით მტკვარზე მიდიოდა. შეიხედა მაგდას სახლისაკენ—ჭის კარი გაეღოთ, მარქრიტა დადგომოდა ვიღაც პატარა გოგოს, სახლს და ეზოს აგვევინ-აწმენდინებდა. არ იამა: ეგონა მარქრიტას უქირავნია სახლიო.

— დილა მშვიდობისა, ეკავ! მიესალმა მარქრიტა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! შენ დაიჭირე ეგ ოთახი? კარგია, დაგინებებია თავი ვანქის ქუჩისათვის.

— არა, ქა! პატრონი ჰყავს და ის გადმოდის: რა ჭკუაა სხვაგან ქირის ძლევა.

— თითონ ნუშო იცხოვრებს აქ? იკითხა ეკამ და უკმაყოფილობის ნიშნათ კვეი ჩაატყლაშუნა.

ვ. ბერნოვი.

(შემდეგი იქნება)

კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი, თბილისი. 1896 წ.)

„დღემდის სქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენია და ჯერ არც შესაძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს“.

გ. წერეთელი.

(დასასრული *)

ბოლო რაც შეეხება პროფ. ჩუბინაშვილის აზრს, რომ რუსთველის პოემის შინაარსი და თამარ მეფეზე მოთხრობა „ქართლის-ცხოვრებით“ ბევრში წააგავს ერთი-ერთმანეთს, დ მაშასადამე, თვით პოემის შინაარსი თამარის ცხოვრებიდან არის აღებული, ჩვენ ამის შესახებ უკვე წარმოვთქვით ჩვენი აზრი მოკლეთ პირველ წერილშიეე. ჩვენ ვამბობთ, რომ უმთავრესი შინაარსი „ვეფხის-ტყაოსნისა“, მისი სიუჟეტი,—ნესტან-დარეჯნის და ტარიელის ისტორია სხვა-და-სხვა ფანტასტიეური შემთხვევებით აღმოსავლეთის ფანტაზიის კეალობაზე, სხვა-და-სხვა ეპიზოდები, მაგ., ზღვის სამეფო, ქარავანები, საეჭროები და სხვ., და უმთავრესათ წმინდა აღმოსავლეთური დესპოტიური სახელმწიფო წეს-წყობილება,-ვიმეორებთ, ეს უმთავრესი შინაარსი „ვეფხის-ტყაოსნისა“

* იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 26.

მაშინდელი ჩვენი ცხოვრებიდან ვერ იქნებოდა აღებული. ასევე უნდა ვთქვათ, შოთა რუსთველის პოეზიის თვით შინაგან და გარეგან ხასიათზე, მის მდიდარ ფანტაზიაზე, მეტის-მეტ გაზვიადებაზე, ჰიპერბოლიურ შედარებაებზე, მოქმედების ადგილების გეოგრაფიასთან შეუსაბამობაზე და სხვ. და სხვ., რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ. ყოველივე ამას შემდეგ იმის მტკიცება, რომ „ვეფხის-ტყაოსანის“ შინაარსი თამარ მეფის ისტორიიდან არის აღებული, ყოველ გვარ საფუძველს მოკლებული მიგვაჩნია. ბ. ჯანაშვილი ამბობს, მაგ., რომ ნესტან-დარეჯანზე მოთხრობა „ვეფხის-ტყაოსნით“ ეს თამარ მეფის ისტორიაა „ქართლის ცხოვრებითო“, და ტარიელის კი დავით სოსლანისო; რასაკვირველია, თუ მარტო გამოგლეჯილ სიტყვებზე და ცალკე შემთხვევაებზე დავამყარებთ ჩვენ მსჯელობას, როგორც, მაგ., რუსთველის მონაწილეობის მიღებას მისი გმირების მოქმედებაში შემდეგ სიტყვებზე; „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“, ჩვენ ადვილათ დავეთანხმებით ბ. ჯანაშვილს; მაგრამ თუ სავსებით და საერთოთ განვიხილავთ ერთსაც და მეორესაც, ჩვენ აშკარათ დავინახავთ, რომ ამ ორ მოთხრობათა შორის თუ რაიმე მსგავსება არსებობს, ის მარტო შემთხვევითია და არავითარი ორგანიული დამოკიდებულება იმათ ერთმანეთ შორის არა აქვთ. ამასთანავე ჩვენ იმის წინააღმდეგი სრულებით არა ვართ, რომ როცა რუსთველმა აღმოსავლეთის თქმულება, ზღაპრათ გადმოცემული თუ დაწერილი, აიღო თავის პოემის სიუჟეტათ, სხვა-და-სხვა შემთხვევანი თანამედროვე ცხოვრებიდან არ ჰქონებოდეს სახეში, ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ როცა ვამბობთ: პირდაპირ ჩვენი ცხოვრებიდან არის აღებულიო, ეს სულ სხვაა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა ამას წაიკითხავს ბ. მ. ჯანაშვილი, ის მაშინვე მოგვმართავს შემდეგი კითხვით:... „ნუ თუ საქართველოს გარეშე იყო იმისთანა მწერალი, რომლის თხზულებაში რთსთველმა ჰპოვა აღწერა და ქება თამარის „წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, მეფის მზის თამარისა, ლაწვბალახშ, თმა-გიშერისა“? (გვ. 67). თუნდაც რომ ეს მართლა ასე იყოს, ე. ი. წარმოვიდგინოთ რომ რუსთველს მართლა უნახავს უცხო მწერლობაში თამარის „წარბთა და წამწამთა“ ქება, ჩვენ ამაში გასაკვირალს ვერაფერს ვერ ვხედავთ, რადგანაც გმირების აღწერა გარეგნობით აღმოსავლეთის მწერლობაში და თვით რუსთველის პოემაშიაც უმეტეს ნაწილათ ერთ ფეროვანია. თუ გნებავთ, ეს გარემოება ხელოვნური ნაწარმოების ნაკლულევანებასაც შეადგენს, მაგრამ ამაზე ახლა ჩვენ არ ვლაპარაკობთ. საქმე ის არის, რომ ბ. ჯანაშვილის მიერ დასახელებული ადგილი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ყალბია, ე. ი. ის შოთა რუსთველს სრულებით არ ეკუთვნის.

ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ როგორ იქცევა ბ. ჯანაშვილი სხვისი აზრის და შეხედულების გადმოცემის დროს; მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ავტორი სულ უყურადღებოთ ტოვებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ერთ ყველაზე უფრო შესანიშნავ მკლევარს.[1] ჩვენ ვამბობთ ბ. ალ. ს—შვილზე.[2] ჩვენ აქ ვერ შევალთ იმის გამოკვლევაში, თუ რისთვის გატაცებით ეტანება ხალხი „ვეფხის-ტყაოსნის“ მსგავს თხზულებებს. ეს უნდა მივიღოთ ჩვენ აქ როგორც ფაქტი. მეორე მხრით, როგორც ფაქტი უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ სასულიერო წოდება ამავე ნაწარმოებს სასტიკათ დევნიდა; ამის მიზეზი აშკარაა: იმ დროს სასულიერო წოდება, რომლის ხელშიაც იმყოფებოდა ხალხის განათლების საქმე, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხის გონება მარტო ზეცისაკენ მიეპყრა; და აბა, „ვეფხის-ტყაოსანში“ ის ამისთანას რას ამოიკითხავდა? იქ ხომ მიჯნურობიდან გატაცებულის და შეშლილის მეტს ვერავითარ მისაბაძავ მაგალითს ვერ ნახავდა? მაგრამ უფრო ღირს-შესანიშნავი ამ შემთხვევაში ის არის, რომ სასულიერო წოდება ამ დევნაში ვერაფერს გახდა: ხალხი სულ უფრო და უფრო ეტანებოდა „ვეფხის-ტყაოსანს“. ამიტომ სასულიერო წოდების წარმომადგენელნი იძულებული შეიქნენ სხვა საშუალებისათვის მიემართათ, რომელიც აგრეთვე არა ერთხელ ყოფილა ხმარებული იმათ მიერ. იგინი სხვა-და-სხვა სიტყვების თუ ფრაზების ჩამატებით ცდილობდენ ქრისტიანული ხასიათი და მიმართულება მიეცათ ამ ნაწარმოებისათვის. (რასაკვირველია საზოგადო ხასიათი და მიმართულება რუსთველის პოემისა ამით სრულებით არ შეცვლილა). ეს ჩვენ მიერ დასახელებული გარემოება და აგრეთვე ისიც, რომელიც დაასახელა ბ. ალ. ს—შვილმა, ე. ი. გადამწერის, რომელიც თითქმის ყოველთვის სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, გატაცება „ვეფხის-ტყაოსნით“ და ამასთანავე სურვილი თავისი ლექსიც ჩაურთოს შიგ ან გვერდზე მიაწეროს, შეიქმნენ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ რუსთველის პოემა გაირყვნა. იმის

---

1) ჩვენს ავტორს ერთობ ძლიერ ბრუნდე წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სიტყვა მკლევარზე. ეს ჩანს სხვათა შორის იქიდანაც, რომ ის თ. ილ. ჭავჭავაძესაც, რამდენიმე ბუნდოვან სიტყვების წარმოთქმისათვის ნესტან-დარეჯანის შესახებ, მკლევარს უწოდებს. (გვ. 41).

2) იხ. „მოამბე“ 1895 წ. სტ. „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“ №№ XI და XII—და 1896 წ, № III.

და მიუხედავათ, რომ ამ უკანასკნელ დროს ბევრნი ცდილობდენ გამოეკლოთ ,,ვეფხის-ტყაოსნიდან'' ის ადგილები, რომლებიც რუსთველს არ ეკუთვნოდენ, მაგრამ დღეს რომ ჩვენში ,,ვეფხის-ტყაოსანი'' იბეჭდება, იმაში ძლიერ ბევრი ყალბი ადგილები მოიპოვება. ბ. ს—შვილი განსაზღვრული მეთოდით შეუდგა ამ ყალბი ადგილების გამოცნობას და სწორეთ რომ ნაყოფიერი გამოდგა მისი შრომა ამ მხრით: მან აშკარათ დაგვიმტკიცა [3]) აწინდელ ,,ვეფხის-ტყაოსანს'' ჩვენ მრავალი ყალბი ადგილებათ ვკითხულობთ და ვეთაყვანებით. ბ. ჯანაშვილმა კი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ბ. ალ. ს—შვილის შრომა და ამ უკანასკნელის მიერ ამოჩენილი ყალბი ადგილები არა თუ სულ უყურადღებოთ გაუშვა, არამედ უმეტეს ნაწილათ ამ ყალბ ადგილებზე ამყარებს თავის უმთავრეს მსჯელობას [4]). საჭიროთ ვთვლით შევნიშნოთ აქ, რომ თუ, ერთი მხრით, ბ. ალ. ს—შვილის მიერ ამოჩენილი ყალბი ადგილები ძირს უთხრის ბ. მ. ჯანაშვილის ,,მოსაზრებათა'' უმეტეს ნაწილს, მეორე მხრით, ამ ყალბი ადგილების გამოაშკარავება თითონ ბ. ჯანაშვილს დაიხსნიდა იმ უხერხულობიდან და ყალბი მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩავარდა შოთა რუსთველის შემდეგი სიტყვების ახსნაში: ,,ესე ამბავი სპარსულათ ქართულათ ნათარგმნები''. ბ. მ. ჯანაშვილი იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსთველს უცხო ცხოვრებიდან არ აუღია თავის პოემის შინაარსი, გვეუბნება, რომ სიტყვა თარგმა იმ დროს არ იხმარებოდა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იმას ახლა ჩვენ ვხმარობთ, არამედ ის ნიშნავდა ახსნას, განმარტებას, (გვ. 67). კარგი და პატიოსანი, მაგრამ აი, მაშინ რა გამოვა: ესე ამბავი სპარსულათ, ქართულათ ახსნილი ან განმარტებული! მაგრამ განა ეს იგივე თარგმნა არ გამოდის, მხოლოთ ამ სიტყვის უფრო კარგი მნიშვნელობით? მაშინ როცა ბ. ალ. ს—შვილის გამოკვლევა, რომლითაც ამ ხანის სრული სიყალბე მტკიცდება, ადვილათ იხსნიდა ბ. ჯანაშვილს ამ უხერხული ახსნიდან.

ფ. მახარაძე.

3) ბ. ალ. ს—შვილის შრომა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

4) შეიძლება თავის გასამართლებლათ ბ. ჯანაშვილმა ამ შემთხვევაში ის გარემოება დაასახელოს, რომ მას უკვე დაწერილი ჰქონდა თავის შრომა, როცა ბ. ს—შვილის წერილი დაიბეჭდა „მოამბეში''; მაგრამ ამით თავის გამართლება შეუძლებელია, რადგანაც ბ. ჯანაშვილის წიგნი შოთა რუსთველზე რამდენსამე თვეს შემდეგ დაიბეჭდა ბ. ს—შვილის პირველ წერილის დაბეჭდვის შემდეგ და ამიტომ საკმარისი დრო ჰქონდა ის იქონიეს-ნებია.

ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შეკრების გამო.*)

ყველამ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა პირმა კარგათ იცის, თუ რა ძვირფასს მასალას წარმოადგენს ხალხში დარჩენილი ამბები, ე. ი. ზეპირ-გადმოცემა; ეს არა ერთხელ თქმულა. ზეპირ-სიტყვაობა ჯერ კიდევ ხელ-მისაწდომია ჩვენთვის. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ის უსათუოთ გაქრება, ცხოვრების ძველ წესთან ერთათ. ჩვენი მოწინავე კაცები ამას ცხადათ გრძნობდენ, როცა ღაღადებდენ, ავალებდენ (და ავალებენ დღესაც) სოფლათ მოღვაწე შეგნებულთ და მოსწავლე ახალგაზდობას, რომ ხალხურ ზეპირ-სიტყვაობისათვის დიდი ყურადღება მიექციათ, რადგანაც იგი ძვირფასი განძია ერის სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების შესწავლისათვის. არ ითქმის, რომ ამ ღაღადს და დავალებას უქმათ ჩაეაროს: მრავალი ხალხური თქმულება და ზღაპარ-ლექსი ჩაწერილა და შეკრებილა დღემდე, მაგრამ ამ საქმეს სამწუხაროთ, ჯერაც წესიერი მიმართულება არ მისცემია. როგორც ვიცი, აქამდის ცალკე წიგნათ გამოცემულია მხოლოთ დ. ხიზანაშვილის ხალხურ ლექსთა კრებული და ორიოდე ბროშურა ხალხური ზღაპრებისა—ეს არის და ეს. ესენი კი შეადგენენ წვეთს იმ ზეპირ-სიტყვაობისას, რომელიც გაბნეულია ძველსა და ახალ ჟურნალ-გაზეთებში და ან რომელიც დასაბეჭდია დღეს (მოიგონეთ „წიგ. გამომ. ამხ." მიღებული თ. რაზიკაშვილის შეკრებილი ხალხური ეპოსი, რომელიც აგერ ექვსი წელიწადია, რაც ხსენებული ამხანაგობის არხივში განისვენებს). იქნება ვინმემ თქვას: ხალხური ეპოსის შემკრებს რაღა ხელმძღვანელობა უნდაო, იარონ სოფ-

*) ამ ფრიად საყურადღებო საქმეს თვით „კვალის" რედაქციამ დიდი ყურადღება მიაქცია და ,,ზეპირ-სიტყვაობის'' ფონდის დასაარსებლათ ფულს აგროვებს. ათასი მანეთი უკვე შეგროვილია და ბანკში ინახება სარგებლით, მაგრამ საქმის მოთავეებს სურთ ეს ათასი მანეთი თანხათ შეინახონ და სხვა—რაც შემოვა შემოწირულობა იმითი მოაწყონ საქმის წაყვანა.

რედაქტორი.

ლათ და, რაც მოხედება, ჩაწერონო. არა, მე ამის თანახმა არა ვარ და არც ასე მსუბუქ საქმეთ მიმაჩნია ხალხური ეპოსის შეკრება: ამ ჟამათ ჩვენი ხალხი ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობების გამო მეტათ შეშინებული და დაეჭვიანებულია. ეისმეს რომ უთხრა: ზღაპარ-ლექსი მიამბე, ქაღალდში უნდა ჩაეწეროთ, იმავე წამს გაიფიქრებს: ამ კაცს ჩემთვის უთუოთ სახიფათო რამა სწადია მისი ქაღალდი მე კეთილს არას დამაყრისო, და უარს გამოგიცხადებთ; ან ამას იფიქრებს: ეს კაცი ნამდვილათ დამცინისო და გიპასუხებთ: ყმაწვილო, თქვენ ნასწავლებს უფრო კარგი ამბები გიწერიათ, იმ ამბებთან ჩვენი გლეხური ზღაპარ-ლექსი რის მაქნისი იქნებაო! აქ თუ შემკრებელმა ლაპარაკი არ დაუწყო, თითონაც რამე მსგავსი არ უამბო, საქმის ვითარებაც თუ არ აუხსნა ცოტაოდნათ, ვერაფერს ვერ გახდება. ბევრიც სხვა სიძნელე ეღობება წინ ამ საქმეს, მაგრამ აქ ყველას ჩამოთვლა არ შეიძლება. აი, ამისთანა გარემოებაშია ხალხური ეპოსის შემკრებელი დღეს და აბა რათ უნდა დაჰკარგოს დრო და შრომა უბრალოთ იმის ჩაწერისათვის, რაც შეიძლება უკვე შეკრებილი და გამოქვეყნებულია? ამიტომ, ჩემი ფიქრით, საჭიროა ითავოს ვინმემ, ვისაც ამ საქმისათვის გული შეტკივა და ძალ-ღონეც ნებას აძლევს: 1) ამოკრება ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთებიდან ხალხური ეპოსისა და ცალკე კრებულებათ დაბეჭდვა; 2) გამოცემა ყოველ წლიური კრებულისა, რომელშიაც განსაკუთრებით ხალხური ეპოსი იქნება მოთავსებული; 3) ყოველი პროვინციელი შემკრებელი ზნეობრივათ ვალდებული უნდა გახდეს, რომ მის მიერ შეკრებული ზეპირ-სიტყვაობა კრებულის გამომცემელს მიაწოდოს. ბოლოს უნდა დავძინო, რომ ყოველ კუთხეში ადგილობრივი მკვიდრი უნდა აგროვებდეს ხალხურ ზეპირ-სიტყვაობას, თუ გვინდა, რომ ქართული ენის კილო-კაენები შეგნებით და შეუმცდარათ იქმნას აღნიშნული ყოველ ხალხურ თქმულება—ლექსში.

ფშავლიშვილი

საქველ-მოქმედო საქმე.

ვენ განვიზრახეთ ვითხოვოთ ფოჩტის განყოფილების დაარსება სოფელს სართიჭალაში (თფილისის მაზრა), იქ სადაც არის ნემცების ახალ შენი სოფელნი: მარიენფელდი, ფრეიდენტალი და პეტერსდოფი. მე შევაგროვე ამ საქმისათვის გარეშემო სოფლებში 387 მანეთი ვითხოვ უმორჩილესათ „კვალის“ რედაქციას გამოაცხადოს ეს სია საცნობლათ მათთვის, ვინც ამ საგნისათვის ფული შამოიტანა.

30 მ. შემოსწირა სოფელ სგარეჯოს საზოგადოებამ. 8 მ. აქციზის კონტრ. მოადგილემ შადინოვმა. ხუთ-ხუთი მანეთი: სპ. ჯაბადარმა, ივ. ჯაბადარმა და შაქარ პეპანოვმა. სამ-სამი მან. ალ. ჯაბადარმა, მ. მურვანიშვილმა და ტ. მკედლოვმა. ორ-ორი მან.: მღ. ნ. დავიდოვმა, ი. ბედიევმა, ზ. ქურდოვანიძემ, ის. კურხულიმ, ტერ-სტეფანოვმა, ნ. ქურდოვანიძემ და ეაჭარ მ. პეტროსოვმა. თითო მან.: კნ. ეკ. მაყაევისამ, ა. ბენაშვილმა, სპ. გაბელაშვილმა, გრ. ერიცოვმა, მუჩაიძემ, ციციანოვმა, დ. ქურდოვანიძემ, ავ. მაკ. არუთინოვმა, ავ. აღ. არუთინოვმა, ელ. ავთანდილოვისამ, ს. არუთინოვმა, იაკორ, კარაპეტ, ყაზარ და ვასილ რევაზაშვილებმა, შაქარ მდივანოვმა, ნ. ტერ-გაბრიელოვმა, ს ანუაშვილმა, წყალობა არუთინოვმა, გ. სტეფანაშვილმა, გ. გზირიშვილმა, ი. მირიმანოვმა, ნ. ქელეიძემ და იოსებ პოღოსოვმა. 15 მან. აველ იაშვილმა სულ 115 მ.

ს. მუხრაგანიდან. 25 მ. შემოსწირეს პოლკ. ქრ. მამაცაშვილმა ტ, პოლ. ჩერკასკიმ (ამათ ორივემ აღგვიოქვეს კელავაც, თუ საჭირო იქნება). თითო თუმანი: ინჟინერმა ბახმეტიევმა და კნ. დადიანისამ. 5 მან.: გიგინიაშვილმა. სამ-სამი მან.: ლესნიჩმა კაგაროვმა და გ. ელიავამ. სულ 81 მ.

ერთი თუმანი სოფ. ხაშმის საზოგადოებამ. 20 მან.: არსიმანდრიტმა ევსევიმ. 5 მ.: ბლაღოჩინმა ბაქრაძემ. 3 მან.: გ. ნახუცაროვმა. 2 მან. ი. ბაქრაძემ. თითო მან. ეე.: ლოლაძემ, ვ. ლაღიძემ, ელ. მაჭავარიანმა, ნ. აღათანაშვილმა, ი. გოგნიაშვილმა, გ. გაბუნიაშვილმა, ს. თეოდორაშვილმა, მ. ნიკოზელიძემ, რ. მამისთვალისშვილმა და აროონ ისრაელოვმა. სულ 50 მ.

სოფ. ბატარეულიდან 5 მან. დ. ბილანიშვილმა. სამ-სამი მან.: მღვდ. ლეონიძემ, ანნა ბილანიშვილისამ. ორ-ორი მან.: ნ. ბილანიშვილმა, ა. ენაგელიმ, გეო. ყუშიტაშვილმა და ზ. ჯიღაურმა. თითო მან.: მიხეილ, გაბრიელ, დიმიტრი, გიორგი, სოლ. ზაქარია, ფ. ბილანიშვილებმა, ლავ. მათიკაშვილმა, ნ. ცხვეთაძისამ, ი. მურადიშვილმა, გ. ჯიღაურმა, მ. ოთარაშვილმა, ნ. ყუშიტაშვილმა და ს. გიუნაშვილმა. სულ 33 მ.

10 მ. ს. გიორგი-წმინდის საზოგადოებისაგან. 12 მან. მღვ. თეოდორე გულისაშვილმა. ორ-ორი მან.: ელ. გაბო, ერემია და მღვ. მ. გულისაშვილებმა. სულ 30 .

12 მან.: ნემეცების საზოგადოებამ. ხუთ-ხუთი

მან.: პრისტავმა დ. ნაცვალოვმა, პასტორმა ვირენიამ. 3 მან.: მასწავლებელმა შმიტმა. 2 მან: აქციზის ზედამხედველმა შანშიევმა. სულ 27 მ.

სოფ. თოხლაურიდან სამ-სამი მან.: თაე სიმონ, ლევან და ზაქარია ჩერქეზიშვილებმა, ვ. თამამშევმა და ბალ. მაკაროვმა. 2 მან. იაგ. თერზმოვმა. თითო მან.: სვიმონ, ივანე და იასონ ყერქეზიშვილებმა. სულ 20 მან.

5 მან.: სოფ, ნინო-წმინდის საზოგადოებამ. 3 მან.: მღვდ. ნ. გულისაშვილმა. 2 მან.: საზონ გულისაშვილმა. თითო მან.: ალ. გულისაშვილმა, რაფ. ზუკაკიშვილმა, გ. შიშნიევმა, ან. კაპანაძემ, კ. გულისაშვილმა და ან. მღებრიშვილმა. სულ 16 მან.

10 მან. სოფ. სართიჭალის საზოგადოებამ. 2 მან. ოლანეს ლაჩინოვმა. თითო მან.: გასპარ ხაჩატუროვმა, მიკირტიჩ კასუმოვმა და საქულ პარსეღოვმა. სულ 15 მან.

ცხრა სოფელში სულ შეიკრიბა 387 მან.

II

„ჯეჯილის“ რედაქციას მოუვიდა განჯიდან მიხეილ გურგენიძესაგან 5 მან. დასაკვეთათ ჟურნალი „ჯეჯილისა“ ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოჩხეთის სკოლისთვის. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ამ გვარნი პირნი შემოწირულობისთვის, რადგან ხშირათ სოფლის სკოლები ისე ღარიბები არიან, რომ ვერ გამოიწერენ ხოლმე საყმაწვილო ჟურნალს და არც რედაქციას აქვს იმდენი საშუალება, რომ უფასოთ მიწოდოს.

ექიმი ს. იაშვილი

III.

ქ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებ 11 მანეთს და 40 კაპეიკს, შეკრებილს ს. ასკანაში, განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე დასაარსებელ ფონდის სასარგებლოთ. სია შემომწირველთა:

ორი მანეთი: ივანე ჭეიშვილმა.—თითო მანეთი: კაპიტონ ასათიანმა, ივანე შევარდნაძე, იოსებ ჭუბაბრიამ, ბესარიონ თალაკვაძემ, ყარამან ნინიძემ, დიომიდე მჭეიშვილმა, სოლომონ მჭეიშვილმა.—ათ-ათი შაური: გიორგი ასათიანმა, დათა ასათიანმა, ივანე თალაკვაძემ, სერგია ჩხაიძემ.—ორი აბაზი: რაჟდენ კილურაძემ.

ასკანის მამასახლისი ს. მჭეიშვილი.

ეს ფული გაეგზავნა ქუთაის. დეკ. გ. ცაგარეიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲜᲘ, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, იპარობს აღწერას თხუთმეტის ცხოველისას, ოც-და-ხუთი სურათით. ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის, ხეთერელის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში; ახალ-სენაკში, ოზურგეთს და ბათუმში თაკვართქილაძის მაღაზიებში, ფასი ყველგან ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку: Родного Слова Ушинскаго, Русской Рѣчи Вольтера, Курса Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Черняевскаго, ამას გარდა წიგნში მოთავსებულია კიდევ ორი სხვა წერილი, Учебный планъ Инородческой школы и Курсъ начальной Кавказской школы, ისყიდება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6—1)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება

ᲑᲘᲤᲣᲡᲢᲔᲑᲘ

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲘᲡᲐ

ფასი 1 მან. 40 კაპ.

კბილის ექიმი

Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

20 ივნისიდან მიიღებს ავათმყოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინაშვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Іюня 1896 г. —Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘᲡ Гол. пр., № 41.